დანართი No. 1

NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

ქართული ტრადიციული მუსიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დასახელება

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

10.12.2024

დასკვნის წარდგენის თარიღი

28.02.2025

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს უნივერსიტეტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების სახე	შპს

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	რიმა პოვილიონიენე, ლიეტუვის მუსიკისა და თეატრის აკადემია, ლიეტუვა
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამარ ძველაია, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	რუსუდან თაყაიშვილი, ვ. სარაჯიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო ტალიკაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ანა მიხელიძე, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	ქართული ტრადიციული მუსიკა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Georgian traditional music
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი საშემსრულებლო ხელოვნებაში (ტრადიციული მუსიკა)
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0215 - მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები.)	შემოქმედებითი ტური

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საბაკალავრო პროგრამის "ქართული ტრადიციული მუსიკა" განხორციელება იგეგმება საქართველოს უნივერსიტეტში თბილისში, საქართველოში. პროგრამა ხორციელდება საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლაში. პროგრამა სამწლიანია, შედგება 180 ევროპული კრედიტისგან (ECTS; 1 კრედიტი უდრის 25 საათს, მოიცავს საკონტაქტო საათებსა და დამოუკიდებელ მუშაობას), და არის ფასიანი. პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხი კვალიფიკაციით " სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი საშემსრულებლო ხელოვნებაში (ტრადიციული მუსიკა)".

პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური მუსიკოსი, რომელიც ორიენტირებული იქნება ტრადიციულ (ავთენტურ) შესრულებაზე და რომელიც აღჭურვილი იქნება მრავალპროფესიული განათლებით, კონკურენტული, პრაქტიკული და თეორიული ცოდნით. პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი იძენს მრავალფეროვან პრაქტიკულ და თეორიულ ცოდნას ქართული ტრადიციული მუსიკის შესახებ, იღებს ინფორმაციას მუსიკის თეორიისა და ტრადიციული ქორეოგრაფიული ხელოვნების შესახებ და გამოიმუშავებს დარგში მუშაობისთვის საჭირო საბაზისო უნარებს. პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს, გააგრძელოს ტრადიციული მუსიკის შესწავლა განათლების შემდგომ საფეხურზე და/ან იმუშაოს პროფესიით - ხალხური და საეკლესიო მუსიკის ანსამბლებში, ჩამოაყალიბოს და ასწავლოს საშემსრულებლო ჯგუფებს როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

სასწავლო წელი შედგება ორი სემესტრისაგან და 180 ECTS კრედიტი ნაწილდება 6 სემესტრზე. პროგრამის სტრუქტურა ECTS მოცულობით ასეთია:

- კომპეტენციების განმავითარებელი სავალდებულო სასწავლო კურსები - 150 ECTS;
- საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები - 12 კრედიტი, საიდანაც 6 კრედიტი უნდა დაგროვდეს სოციალურ-ჰუმანიტარული ბლოკიდან, ხოლო დანარჩენი 6 ECTS - STEAM-ის ბლოკიდან;
- პროგრამის არჩევითი კურსები – 18 კრედიტი.

კრედიტების რაოდენობა განსხვავდება წლების მიხედვით, თუმცა შეესაბამება კანონმდებლობას, რადგან არ აღემატება წელიწადში 75 ECTS-ს. კომპეტენციის განმავითარებელი სავალდებულო და საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსების წლიური მოცულობის გათვალისწინებით, პირველ კურსზე გროვდება –72 ECTS, მე-2 – 48, ხოლო მე-3 – 42 კრედიტი. გარდა ამისა, არჩევითი კურსების 18 ECTS შეიძლება დაგროვდეს მთელი სწავლის პერიოდის განმავლობაში (ამ პროგრამის შემთხვევაში 18 ECTS შეიძლება დაგროვდეს მე-2 ან/და მე-3 კურსზე).

დაგეგმილია, რომ პროგრამის სასწავლო პროცესს განახორციელებს 21 აკადემიური და მოწვეული პერსონალი; 2025/2026 სასწავლო წლის დასაწყისში მოსალოდნელია დაახლოებით 15 სტუდენტის მიღება.

- აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრს მიეწოდა თვითშეფასების ანგარიში (თშა, 36 გვერდი ინგლისურ ენაზე) და თანმხლები დოკუმენტაცია (პროგრამის სპეციფიკაცია/კურიკულუმი, სასწავლო კურსების სილაბუსები, განმახორციელებელი პერსონალის სია და პირადი მონაცემები და სხვა). უნივერსიტეტში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 10 დეკემბერს, დილის 9:30 საათიდან საღამოს 5:30 საათამდე. ექსპერტთა ჯგუფმა შეხვედრები გამართა შემდეგ ჯგუფებთან:

- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან;
- თვითშეფასების ჯგუფთან,
- პროგრამის ხელმძღვანელთან;
- აკადემიური პერსონალთან;
- მოწვეული პერსონალთან;
- დამსაქმებლებთან;
- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, და
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან.

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა უნივერსიტეტის კორპუსი, სადაც ხორციელდება აკადემიური პროცესი და გაეცნო სასწავლო პროცესისთვის არსებულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, მათ შორის ბიბლიოთეკის სასწავლო მართვის სისტემას, სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობების აუდიტორიებს და სხვა. ვიზიტის ბოლოს ჯგუფმა წარმოადგინა პირველადი მიგნებები. ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია, თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა მოთხოვნილი მასალის მხოლოდ ნაწილი (სწავლის შედეგების რუკა, პერსონალის დიპლომები, რომელიც აკლდათ, გამოკითხვის ფორმები და შედეგები, პერსონალის სია და სასწავლო კურსები, პერსონალის შეფასების სისტემა).

ექსპერტთა ჯგუფს სურს აღნიშნოს კარგად ორგანიზებული კომუნიკაცია და თანამშრომლობა უნივერსიტეტის შიგნით არსებულ დეპარტამენტებსა და სამსახურებს შორის და გამოთქვამს გულწრფელ მადლობას ყველა მონაწილის მიმართ ვიზიტის დროს გამართულ დისკუსიებში აქტიური ჩართულობისთვის.

- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

<u>სტანდარტი 1:</u>

ქვესტანდარტი 1.1 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
ქვესტანდარტი 1.2 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
ქვესტანდარტი 1.3- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
ქვესტანდარტი 1.4 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
ქვესტანდარტი 1.5 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

<u>სტანდარტი 2:</u>

ქვესტანდარტი 2.1- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ქვესტანდარტი 2.2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
ქვესტანდარტი 2.3 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
ქვესტანდარტი 2.4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

<u>სტანდარტი 3:</u>
ქვესტანდარტი 3.1 -შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

<u>სტანდარტი 4:</u>
ქვესტანდარტი 4.1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
ქვესტანდარტი 4.3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
ქვესტანდარტი 4.4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
ქვესტანდარტი 4.5 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

<u>სტანდარტი 5:</u>
ქვესტანდარტი 5.1 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
ქვესტანდარტი 5.2 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
ქვესტანდარტი 5.3 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- რეკომენდაციები

<u>1.1 კომპონენტი</u>

1. რეკომენდებულია ახალი საგანმანათლებლო პროგრამის დაწყებამდე, შრომის ბაზრის ყოვლისმომცველი კვლევის ჩატარება და შრომის ბაზარზე პროგრამის პოტენციურ დამსაქმებლებთან/პარტნიორებთან დეტალურად გაწერილი თანამშრომლობის მემორანდუმების ინიცირება / გაფორმება.

<u>1.2 კომპონენტი</u>

1. რეკომენდებულია გადაიხედოს და გაფართოვდეს პროგრამის სწავლის შედეგები და უნარები, რათა უკეთ აიხსნას/აისახოს როგორ მიიღწევა პროგრამის მიზანი - "ჩამოაყალიბოს და ასწავლოს საშემსრულებლო ჯგუფებს როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ", რაც გულისხმობს მენეჯერული და პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების უნარს.

<u>1.3 კომპონენტი</u>

1. .რეკომენდებულია, პროგრამის განხორციელების გასაძლიერებლად ურთიერთქმედების ქსელის (ასევე წინაპირობების მატრიცის) შექმნა პროგრამის კურსების სწავლის შედეგების რუკასა და შეფასების/წინაპირობების მოთხოვნებს შორის.
2. რეკომენდებულია პროგრამის სამიზნე ნიშნულების სქემის მოდელირება, რაც შესაძლებელს გახდის შემოწმდეს სწავლის შედეგები და მოხდეს მათი შედარება სამიზნე ნიშნულებთან, და ასევე უზრუნველყოფს გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობას სწავლის შედეგების შეფასებაში.

<u>1.4 კომპონენტი</u>

1. რეკომენდებულის კურსი "ქართული ხალხური თამაშები" არჩევითი კურსებიდან გადავიდეს სავალდებულო კურსების ჩამონათვალში.
2. რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის არსებული სტრუქტურა და მოხდეს მისი რეორგანიზება (კერძოდ, კომპეტენციების განმავითარებელი სავალდებულო და არჩევითი კურსების ჩამონათვალი), და პედაგოგიური (სწავლების) და მენეჯერული უნარების განმავითარებელი კურსები შევიდეს პროგრამის კომპეტენციების განმავითარებელ სავალდებულო კურსების ჩამონათვალში.

<u>1.5 კომპონენტი</u>

1. რეკომენდებულია გადაიხედოს დასკვნითი გამოცდის პროცედურა შემდეგი კურსების სილაბუსებში: "ქართული ხალხური სიმღერა 5", "ქართული საეკლესიო გალობა 5" და "ქართული ხალხური საკრავი 3", რათა დაკონკრეტდეს შესრულების/პრაქტიკული ნაწილის შინაარსი სავალდებულო რეპერტუარის მითითებით, და ასევე მითითებული იქნება საჯარო/ადგილობრივი პრეზენტაციის/კონცერტის ფორმა.
2. რეკომენდებულია შემცირდეს თეორიული/წერითი ნაწილი კურსებში "ქართული ხალხური სიმღერა", "ქართული საეკლესიო გალობა" და "ქართული ხალხური საკრავი" და გაფართოვდეს კურსის „ქართული საეკლესიო მუსიკის ისტორია და თეორია“ შინაარსი და მოცულობა 2-3 სემესტრში.
3. რეკომენდებულია სილაბუსების, პროგრამის კურიკულუმისა და სხვა შესაბამისი საჯარო დოკუმენტების ინგლისურ ვერსიებში კურსების სახელწოდებების გადახედვა, გასწორება და უნიფიცირება: “Georgian chant” / hymn / singing, “Georgian folk games” / plays, “Reading in dialect” / modes.

<u>2.1 კომპონენტი</u>

1. რეკომენდებულია, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ყოვლისმომცველად და მკაფიოდ იყოს ფორმულირებული. შემოქმედებითი ტურის პირობები შემდეგნაირად უნდა განისაზღვროს: რეგისტრაციის პირობები; დამატებითი საფასურის შესახებ ინფორმაცია; შემოქმედებითი ტურის განრიგი და სრული ინფორმაცია მის შინაარსზე, კერძოდ: 1) რა დავალება/დავალებები უნდა შეასრულოს აპლიკანტმა; 2) რა კრიტერიუმებით შეფასდება თითოეული მათგანი; 3) შესასრულებელი დავალების/დავალებების კონკრეტული მაგალითის ნიმუში. აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები უნდა აიტვირთოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

<u>2.3 კომპონენტი:</u>

1. რეკომენდებულია გარკვეულ კურსებში შემდეგი მეთოდების დამატება: „ლიტურგიული" - ჯგუფური სწავლების, პრეზენტაციის, გონებრივი იერიშის მეთოდები.„დიალექტზე კითხვა" - პრაქტიკა; ინდივიდუალური; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება.

5.1 კომპონენტი:

1.რეკომენდებულია პირდაპირი შეფასების სისტემის სრულად დანერგვა. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა პირდაპირი შეფასებები განახორციელოს ONLINE UG პლატფორმის მსგავსი ინსტრუმენტებით. თუმცა, ვინაიდან ეს მიდგომა ახალ პროგრამაში ჯერ კიდევ განვითარების სტადიაშია, რეკომენდებულია ელექტრონული შეფასებების სრული ინტეგრაციის დაჩქარება. რეკომენდებულია მკაფიო ვადებისა და კონკრეტული სამოქმედო გეგმების დადგენა, რაც გააუმჯობესებს ამ სისტემის ეფექტიანობას.

5.2 კომპონენტი

1. პროგრამის გაძლიერების მიზნით რეკომენდებულია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების აქტიური ჩართულობა; სტრუქტურირებული მექანიზმების შემუშავება, რომელთა საშუალებითაც მოხდება მათი რჩევების გათვალისწინება პროგრამის განვითარებისა და შეფასების პროცესში, რაც ხელს შეუწყობს უფრო ფართო პერსპექტივების შექმნას და გააუმჯობესებს პროგრამის რელევანტურობასა და ხარისხს.

5.3 კომპონენტი

1. რეკომენდებულია პროგრამის შედარება მსგავს საერთაშორისო პროგრამებთან და დოკუმენტური მტკიცებულებების წარმოდგენა, რათა უზრუნველყოფილ იქნას მისი შესაბამისობა გლობალურ და ადგილობრივ სტანდარტებთან.
2. რეკომენდებულია დამსაქმებლების აქტიური ჩართვა პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში, ზოგადი თანამშრომლობის მიღმა, რაც უზრუნველყოფს დარგთან შესაბამისობას.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

1.5 კომპონენტი

1. სასურველია, რომ სავალდებულო ლიტერატურის ნუსხა შეიცავდეს უახლეს კვლევებს შესაბამის სფეროში, აკადემიური კურსის/საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით.

2.1 კომპონენტი

1. სასურველია, შემოქმედებით ტურამდე აბიტურიენტებისთვის მოეწყოს საკონსულტაციო შეხვედრები.

2.2 კომპონენტი

1. პროგრამის ეფექტურობისა და სტუდენტთა პროფესიული უნარების განვითარების მიზნით, სასურველია შეიქმნას ქალთა გუნდი და საეკლესიო გუნდი, რომლებიც სიმღერაში ივარჯიშებენ კონკრეტულ ეკლესიასა თუ უნივერსიტეტის საკათედრო ტაძარში.

4.1 კომპონენტი

1. სასურველია აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხშირი შეხვედრების ჩატარება პროგრამის უკეთ გაცნობისა და შემდგომი განვითარების მიზნით.

2. სასურველია, უნივერსიტეტმა პროგრამის ფარგლებში მოიზიდოს აკადემიური პერსონალი, რომელსაც მიეცემა აფილირების შესაძლებლობა.
3. სასურველია, პროგრამის ხელმძღვანელებმა იზრუნონ მოწვეული პერსონალისთვის კომფორტული გარემოს შექმნაზე და ამ გარემოში მათ ადაპტაციაზე. სასურველია, მიეცეთ მათ ლექციების ჩატარებისა და სამეცნიერო მუშაობის განხორციელების შესაძლებლობა, ჩაერთონ რეგიონულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო და შემოქმედებით აქტივობებში და ასევე სასურველია, მათი სამეცნიერო საქმიანობის წახალისება. ეს ყველაფერი გაზრდის როგორც მოქმედი პედაგოგების მოტივაციას, ასევე ხელს შეუწყობს ახალი კადრების მოზიდვას.

<u>4.3 კომპონენტი</u>

1. სტუდენტთა პრობლემებისა და სურვილების გათვალისწინებით, სასურველია მათთვის კითხვარების შევსების შეთავაზება არდადეგების პერიოდში.
2. სასურველია მომზადდეს პროექტი მოწვეული პერსონალისათვის აკადემიური პოზიციების დასაკავებლად.

<u>4.4 კომპონენტი</u>

1. სასურველია, რომ უნივერსიტეტს ჰქონდეს სტანდარტული საკონცერტო დარბაზი, სადაც ფართო მაყურებლისთვის გაიმართება შემოქმედებითი ღონისძიებები.

<u>5.1 კომპონენტი:</u>

1. სასურველია, გაიზარდოს ყველა დაინტერესებული მხარის (მაგალითად, დამსაქმებლებლების) ჩართულობა არაპირდაპირ შეფასებაში. სასურველია, დაინერგოს სტრუქტურირებული გამოკითხვები და შეხვედრები ფოკუს ჯგუფებთან, რათა მათი შეხედულებები აისახოს პროგრამის შემუშავებასა და გაუმჯობესებაში.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[4]

- ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე

უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფს სურს ხაზი გაუსვას დადებით, პროფესიონალურ თანამშრომლობას. ექსპერტთა ჯგუფი გამოხატავს მადლიერებას უნივერსიტეტის წარმომადგენლების მიმართ, მათ მიერ დასკვნის პროექტის დეტალური ანალიზისთვის; უნივერსიტეტის პასუხის გათვალისწინებით, ქვემოთ მოცემულია გარკვეული მოსაზრებები, ამას გარდამ ექსპერტთა ჯგუფს სწამს, რომ რეკომენდაციები უპირველეს ყოვლისა ფოკუსირებულია პროგრამის გაუმჯობესებასა და განვითარებაზე.

ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ განხილული რეკომენდაციები კვლავ

---

[4] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

წარმოდგენილია საბოლოო ანგარიშში (უცვლელად). ეს ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 22-4[1] და 27[2]-11 მუხლებს, სადაც განსაზღვრულია, რომ ვიზიტის შემდგომი ცვლილებები, ისევე როგორც ახლადმიღებული დოკუმენტები, ვერ იქნება გათვალისწინებული.

1.1 კომპონენტის რეკომენდაციის არგუმენტების შესახებ

1. არგუმენტირებული პოზიციის თანახმად, შრომის ბაზრის ჩატარებული კვლევა, საკმარისად უნდა ჩაითვალოს. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი კვლავ ინარჩუნებს რეკომენდაციას, ყოვლისმომცველი კვლევის განხორციელების თაობაზე. უფრო მეტიც, თანამშრომლობის მემორანდუმებში არ არის მითითებული მომავალი სტუდენტებისთვის დასაქმების ადგილების პოტენციური შეთავაზებები. ამიტომ, რეკომენდაცია უცვლელი რჩება.

1.2 კომპონენტის რეკომენდაციის არგუმენტების შესახებ

არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, „პროგრამის მიზანია ქართული ტრადიციული მუსიკის მაღალკვალიფიციური შემსრულებლების მომზადება“. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ პროგრამის მიზანი, რომელიც აღწერილია მოცემულ დოკუმენტებში, კომპლექსურია და ასევე მოიცავს შემდეგს: „საშემსრულებლო ჯგუფის ჩამოყალიბება და სწავლება საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ“. ამიტომ, რეკომენდაცია უცვლელი რჩება.

1.3 კომპონენტის რეკომენდაციის არგუმენტების შესახებ

1. ექსპერტთა ჯგუფს სურს აღნიშნოს, რომ დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვის შემდეგ (მათ შორის - პროგრამის კურსის ცხრილი/სქემა, სადაც მითითებულია კურსებს შორის წინაპირობების სისტემა, ანუ წინაპირობების მატრიცა), მოთხოვნილი დოკუმენტები არ მოგვაწოდეს. ამიტომ, რეკომენდაცია უცვლელი რჩება.

2. ექსპერტთა ჯგუფს სურს აღნიშნოს, რომ დამატებით მოწოდებულ დოკუმენტებს შორის, არ ყოფილა სამიზნე ნიშნულების რუკა (უნივერსიტეტმა მოგვაწოდა სწავლის შედეგების რუკა, თუმცა არა სამიზნე ნიშნულების (ბენჩმარქინგის) დოკუმენტი) შესაბამისად, რეკომენდაცია უცვლელი რჩება.

1.4 კომპონენტი რეკომენდაციის არგუმენტების შესახებ

1. არგუმენტირებულ პოზიციაში ხაზგასმულია კურსის „ქართული ხალხური თამაშების“ უნიკალურობა, ანუ ის, რომ „აღნიშნული არ გვხვდება იმ სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო კომპონენტში, რომლებიც ტრადიციულ მუსიკას ასწავლიან.“ ეს აღინიშნა ადგილზე ვიზიტის დროსაც. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აღნიშნული კურსი სავალდებულო კურსთა ნუსხაში უნდა იყოს შეტანილი. შესაბამისად, რეკომენდაცია უცვლელი რჩება.

2. როგორც 1.2-ის კომპონენტის რეკომენდაციაში იყო აღნიშნული, მოწოდებული დოკუმენტებით განსაზღვრული პროგრამის მიზანი, კომპლექსურია და ასევე მოიცავს შემდეგს: „საშემსრულებლო ჯგუფის ჩამოყალიბება და სწავლება საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ“. აქედან გამომდინარე, პროგრამის არსებული სტრუქტურა უნდა გადაიხედოს, რათა მოიცავდეს მენეჯმენტისა და პედაგოგიური უნარების განვითარების კურსებს. შესაბამისად, რეკომენდაცია უცვლელი რჩება.

1.5 კომპონენტის რეკომენდაციის არგუმენტების შესახებ

1. არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, „გამოცდის დროს სტუდენტი ვალდებულია შეასრულოს რამდენიმე ტიპური ნიმუში, კურსის დროს განვლილი მასალიდან.“ თუმცა, სილაბუსების ანალიზიდან გამოვლინდა, რომ დასკვნითი გამოცდის შეფასება მხოლოდ განზოგადებულად არის მითითებული. მაგალითად: „ქართული გალობა 5“ -ის შემთხვევაში, სტუდენტმა ზედმიწევნით კარგად უნდა იცოდეს 48 საგალობელი, რომ ქულების 100% დააგროვოს. ეს ნიშნავს, რომ დასკვნით გამოცდაზე სტუდენტმა ყველა ანუ 48 სიმღერა უნდა შეასრულოს? გაუგებარია; შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, გადაიხედოს კურსების „ქართული ხალხური სიმღერა 5“, „ქართული გალობა 5“ და „ქართული ხალხური საკრავი 3“ კურსების სილაბუსების აღწერა და დასკვნითი გამოცდის პროცედურა. რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

2. არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, „ვიზიარებთ ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებას, რომ თეორიული/წერილობითი ნაწილი შეიძლება მკაფიოდ არ ჩანდეს კურსის სილაბუსში.“ ეს ნიშნავს, რომ სილაბუსები საჭიროებს გადახედვას საშემსრულებლო საგნების თეორიული ნაწილის უფრო

მკაფიოდ აღწერისთვის („ქართული ხალხური სიმღერა“, „ქართული გალობა“, „ქართული ხალხური საკრავები“). თუმცა, ექსპერტები კვლავ რჩებიან იმ მოსაზრებაზე, რომ კურსის „ქართული საეკლესიო მუსიკის ისტორიისა და თეორიის“ ხანგრძლივობა უნდა გაიზარდოს; ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ „ამ საგნის ერთი სემესტრის განმავლობაში სწავლება საკმარისია." რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

3. ექსპერტთა ჯგუფს სურს აღნიშნოს, რომ უნივერსიტეტმა მიიღო თარგმნილი დოკუმენები, რათა მათთვის გადაეხედა აკრედიტაციაზე წარდგენამდე. სილაბუსებსა და სხვა დოკუმენტებში სათაურები უნდა იყოს ერთიანი, რადგან მომავალში ისინი ინგლისურ ენაზეც გამოქვეყნდება საუნივერსიტეტო გარემოში . ამიტომ, რეკომენდაცია უცვლელი რჩება.

2.1 კომპონენტისრეკომენდაციის არგუმენტების შესახებ

1. ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ ამჟამად დაშვების წინაპირობები მკაფიოდ არ არის აღწერილი და ამიტომ შეიმუშავეს რეკომენდაცია. რეკომენდაცია უცვლელი რჩება და უფრო დეტალურად, შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული:

რეკომენდებულია, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ყოვლისმომცველად და მკაფიოდ იყოს ფორმულირებული. შემოქმედებითი ტურის პირობები შემდეგნაირად უნდა განისაზღვროს: რეგისტრაციის პირობები; დამატებითი საფასურის შესახებ ინფორმაცია; შემოქმედებითი ტურის განრიგი და სრული ინფორმაცია მის შინაარსზე, კერძოდ: 1) რა დავალება/დავალებები უნდა შეასრულოს აპლიკანტმა; 2) რა კრიტერიუმებით შეფასდება თითოეული მათგანი; 3) შესასრულებელი დავალების/დავალებების კონკრეტული მაგალითის ნიმუში. აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები უნდა აიტვირთოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

2.3 კომპონენტის რეკომენდაციის არგუმენტების შესახებ

1. არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, რეკომენდაცია გათვალისწინებულია, შეტანილია ჩამოთვლილი მეთოდები. ზემოაღნიშნული კანონმდებლობის გათვალისწინებით (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 22-4[1] და 27[2]-11 მუხლები), რეკომენდაცია უცვლელად რჩება.

4.1 და 4.3-ის კომპონენტების რეკომენდაციის არგუმენტების შესახებ

1. ექსპერტთა ჯგუფი ითვალისწინებს, რომ პროგრამის განსახორციელებლად საჭირო სამეცნიერო და პედაგოგიური პერსონალი უკვე ფორმირდება და ახალი პროგრამის ორი წევრი ასოცირებულ პროფესორად არის წარმოდგენილი. აქედან გამომდინარე, 4.1-ის რეკომენდაცია წაიშალა, ხოლო 4.3-ის რეკომენდაცია გადატანილია რჩევების ველში - სასურველია, რომ მომზადდეს პროექტი ახალი პროგრამის სხვა მოწვეული პერსონალისთვის, რათა დაიკავონ აკადემიური თანამდებობები.

5.1 კომპონენტის რეკომენდაციის არგუმენტების შესახებ

1. არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, რეკომენდაციას გაითვალისწინებენ. ზემოაღნიშნულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით, რეკომენდაცია უცვლელი რჩება.

5.2 კომპონენტის რეკომენდაციის არგუმენტების შესახებ

1. ექსპერტთა ჯგუფი აცნობიერებს პროგრამის უნიკალურობას. თუმცა, სასარგებლო და აუცილებელია, რომ მიმართოთ სხვადასხვა საერთაშორისო პრაქტიკას, სხვა კულტურების, ერების კონკრეტული ტრადიციული მუსიკის პროგრამებთან მიმართებით; მნიშვნელოვანია, რომ მოაგროვოთ უფრო ფართო ცოდნა, ასეთი სპეციფიური პროგრამის განოხრციელების შესახებ. შესაბამისად, რეკომენდებულია ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების ჩართვა. შესაბამისად, რეკომენდაცია უცვლელი რჩება.

5.3 კომპონენტის რეკომენდაციის არგუმენტების შესახებ

1. როგორც 5.2 კომპონენტში აღინიშნა, ექსპერტთა ჯგუფი აცნობიერებს პროგრამის უნიკალურობას, თუმცა მნიშვნელოვანია მოაგროვოთ უფრო ფართო ცოდნა იმის თაობაზე, თუ როგორ ხორციელდება ასეთი პროგრამები მსოფლიოს მასშტაბით. რეკომენდაცია რჩება უცვლელი.
2. ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა გაიაზრა, რომ პოტენციური დამსაქმებლები არ იღებდნენ მონაწილეობას და არ იყვნენ აქტიურად ჩართულნი პროგრამის პროცესში. რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ- ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები ასევე, ასახავენ რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ინიცირებული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა "ქართული ტრადიციული მუსიკა", რომელიც მომზადდა საქართველოს უნივერსიტეტში, არის სამწლიანია, შედგება 180 ECTS ევროპული კრედიტისგან. პროგრამის აღწერა მოცემულია უნივერსიტეტის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში (მაგ., პროგრამის სასწავლო გეგმა).

პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური მუსიკოსი, რომელიც ორიენტირებული იქნება ტრადიციულ (ავთენტურ) შესრულებაზე და რომელიც აღჭურვილი იქნება მრავალპროფესიული განათლებით, კონკურენტული, პრაქტიკული და თეორიული ცოდნით. შესაბამისად, პროგრამის მიზნები შეესაბამება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისიას, ამოცანებსა და სტრატეგიას; პროგრამის მიზნები საჯაროა და მარტივად ხელმისაწვდომია. თუმცა, პროგრამის განხორციელებისას არ არის ხაზგასმული პროგრამის ტერნაციონალიზაციის ასპექტები, იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის მიზანია მოამზადოს ადგილობრივ ტრადიციებზე ორიენტირებული მუსიკოსი.

პროგრამის კურიკულუმში ხაზგასმულია, რომ პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი იძენს მრავალფეროვან პრაქტიკულ და თეორიულ ცოდნას ქართული ტრადიციული მუსიკის შესახებ, იღებს ინფორმაციას მუსიკის თეორიისა და ტრადიციული ქორეოგრაფიული ხელოვნების შესახებ და გამოიმუშავებს დარგში მუშაობისთვის საჭირო საბაზისო უნარებს. პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს აიმაღლოს კვალიფიკაცია განათლების შემდგომ საფეხურზე – ეს ნიშნავს, რომ სტუდენტს შეუძლია განაგრძოს ტრადიციული მუსიკის შესწავლა განათლების უფრო მაღალ საფეხურებზე. ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების დეტალური აღწერა წარმოდგენილი და განხილულია ანგარიშის შემდგომ ნაწილში, 1.2 კომპონენტის მიმოხილვაში.

პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებულია, რომ პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს იმუშაოს ხალხური და საეკლესიო მუსიკის ანსამბლებში, ასევე შეძლებს ჩამოაყალიბოს და ასწავლოს საშემსრულებლო ჯგუფებს როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. თუმცა, გაურკვეველია, რამდენად სათანადოდ პასუხობს პროგრამის მიზნები შრომის ბაზრის მოთხოვნებს (მათ შორის საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებსაც), რადგან შრომის ბაზრის წარმომადგენლებთან გაფორმებული 2 (ორი) მემორანდუმი აჩვენებს მხოლოდ წინასწარ შეთანხმებებს, რომ ისინი (შრომის ბაზრის წარმომადგენლები) მხარს უჭერენ ამ პროგრამის ინიციატივას კონკრეტული და პრაქტიკული ვალდებულებების გარეშე; უფრო მეტიც, ვიზიტის დროს შრომის ბაზრის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მათ ანსამბლებში არ არის ვაკანტური ადგილები პროგრამის კურსდამთავრებულების მომავალში დასასაქმებლად და დასაქმების არც სხვა შესაძლებლობები არსებობს. აგრეთვე, ვიზიტის დროს შრომის ბაზრის წარმომადგენლებთან გასაუბრებამ არ გამოავლინა რეალური თანამშრომლობა მათსა და უნივერსიტეტს შორის - კერძოდ, შრომის ბაზრის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მათ არ მიუღიათ მონაწილეობა ახლად ინიცირებული პროგრამის მოდელირებაში. გარდა ამისა, უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტში ("შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი") მოცემულია მხოლოდ ზოგადი კითხვარი, რომელიც მიზნად ისახავს მხოლოდ ზოგადი ინფორმაციის შეგროვებას (როგორიცაა კითხვები პროგრამის წვლილის შესახებ ტრადიციული საშემსრულებლო ხელოვნების პოპულარიზაციაში; აქვთ თუ არა ტრადიციული გალობის/სიმღერის/ საკრავების შემსრულებლებს თანაბარი კომპეტენცია; არის თუ არა მნიშვნელოვანი, რომ შემსრულებელი ფლობდეს რამდენიმე კომპეტენციას (და სხვა), მაგრამ არ არის წარმოდგენილი რაიმე რიცხვობრივი მონაცემები ან გაანგარიშებები ახალი კადრების საჭიროებისა და დასაქმების რეალისტური შესაძლებლობების შესახებ. შრომის ბაზრის ანალიზში იყო კითხვა: "უნდა ჰქონდეს თუ არა ტრადიციული ხელოვნების ხელშემწყობ დაწესებულებებში (მაგალითად, კულტურის ცენტრებსა და სახლებში) დასაქმების უპირატესობა იმ კადრს, რომელიც გარდა ძირითადი კომპეტენციებისა, ფლობს დარგის კვლევის უნარებსაც"; თუმცა, არ არსებობს მტკიცებულება, რომ ასეთი დაწესებულებების (კულტურის ცენტრების) წარმომადგენლები ჩართულები იყვნენ პროგრამის ინიცირების პროცესში, ისინი არც კი იყვნენ მოწვეული ვიზიტში მონაწილეობის მისაღებად. ეს დაკვირვებები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ პროგრამის წვლილი დარგისა და საზოგადოების განვითარებაში (შრომის ბაზრის გათვალისწინებით) ბოლომდე არ არის გამოკვლეული და, შესაბამისად, არასაკმარისია; პროგრამის ინიციატორებმა სათანადოდ არ შეისწავლეს კურსდამთავრებულთა სამომავლო დასაქმების შესაძლებლობები. შესაბამისად, ახალი პროგრამის დაწყებამდე რეკომენდებულია ჩატარდეს შრომის ბაზრის ყოვლისმომცველი კვლევა და პოტენციურ დამსაქმებლებთან გაფორმდეს/ინიცირებული იქნას დეტალურად გაწერილი თანამშრომლობის მემორანდუმები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- პროგრამის კურიკულუმი
- ინტერვიუს შედეგები ადგილზე ვიზიტის მსვლელობაში
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- სწავლის შედეგების რუქა;
- მემორანდუმები შრომის ბაზრის წარმომადგენლებთან
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი

რეკომენდაციები:

- ახალი საგანმანათლებლო პროგრამის დაწყებამდე რეკომენდებულია ჩატარდეს შრომის ბაზრის ყოვლისმომცველი კვლევა და პოტენციურ დამსაქმებლებთან გაფორმდეს/ინიცირებული იქნას დეტალურად გაწერილი თანამშრომლობის მემორანდუმები.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

–

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☐	X	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები:

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

როგორც პროგრამის კურიკულუმშია მითითებული, პროგრამის სწავლის შედეგები ასეთია: პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- განიხილავს ქართული მუსიკალური ფოლკლორისა და ქართული ტრადიციული გალობის შესრულებასა და ჟანრულ თავისებურებებს;
- ასახელებს და ახასიათებს ქართულ მუსიკალურ დიალექტებსა (მათ შორის საქართველოს გარეთ), და საგალობლო სკოლებს;

- განიხილავს ქართული საგალობლის ზეპირი ტრადიციის ეტაპების ისტორიულ განვითარებას, ორიგინალურ ქართულ მუსიკალურ დამწერლობას;
- აღწერს ქართული ტრადიციული მუსიკალური ენის თავისებურებებს;
- ახასათებს ტრადიციულ საკრავებს; აკავშირებს ქართულ ხალხურ საკრავიერ მუსიკას მსოფლიოს ხალხთა საკრავიერ კულტურასთან;
- ასრულებს მუსიკალური საკრავების, სიმღერებისა და საგალობლების რეპერტუარს სხვადასხვა რეგიონიდან, ტრადიციული შესრულების ნორმების დაცვით;
- განმარტავს საველე მუშაობის ძირითად პრინციპებს; და
- აჩვენებს ქართული მუსიკის თეორიისა და ტრადიციული ქორეოგრაფიის საბაზისო პრაქტიკულ და თეორიულ ცოდნას.

კურიკულუმში განმარტებულია, რომ პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულები შეიძენენ სხვადასხვა უნარებს (ასრულებს ქართული მუსიკალური დიალექტების მამაკაცთა და ქალთა სიმღერებს ტრადიციული შესრულების ნორმების დაცვითა და იმპროვიზაციით, ხმიდან ხმაზე გადასვლით; წარმოადგინს აღმოსავლეთ საქართველოს მელოდიების მრავალფეროვნებას და კრიმანჭულის სხვადასხვა სახეობებს; უკრავს და იმპროვიზირებს ქართულ ხალხურ საკრავებზე (ფანდური, ჩონგური, ჩანგი, სალამური, ჭიანური, ჭუნირი, ჭიბონი და გუდასტვირი), საკრავით უკეთებს აკომპანიმენტს უკეთებს სხვადასხვა ხმაზე მღერას; მსჯელობს საკრავიერ კულტურასთან დაკავშირებულ ალგოლოგიურ და მუსიკალურ ასპექტებზე; იწერს სიმღერების ნოტებს და ინსტრუმენტული მუსიკის აუდიო ნიმუშებს; ასრულებს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს საგალობლო სკოლების რვახმიან საგალობლებს (სამწუხარო, ცისკრის, უძრავი და მოძრავი დღესასწაულების) ხმიდან ხმაზე გადასვლითა და იმპროვიზაციით, ამრავალხმიანებს საგალობლის მელოდიას ხმათა განლაგების ტრადიციული მუსიკალური კანონზომიერების დაცვით; კითხულობს ხეცურად; აწარმოებს ექსპედიციის დღიურს, ადგენს ექსპედიციის კითხვარს, ავითარებს ეთნოფორებთან ურთიერთობის ფორმას; პრაქტიკაში იყენებს სხვადასხვა რეგიონის ფერხულსა და მარტივ საცეკვაო ილეთებს; მიღებულ ცოდნას იყენებს პრაქტიკაში).

საერთო ჯამში, ჩამოთვლილი სწავლის შედეგები უმეტესწილად მიღწევადი, გაზომვადი და რეალისტურია; ისინი შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს, დეტალური სფეროს აღმწერს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავება არ იყო სრულად თანამშრომლობითი პროცესი, რაც დასტურდება დამსაქმებლებთან ინტერვიუთი (რომელიც ნახსენებია 1.1 კომპონენტში), რომლის დროსაც დამსაქმებლებმა განაცხადეს, რომ მათ არ მიუღიათ მონაწილეობა პროგრამის შემუშავებაში. ასევე, არსებობს გარკვეული შეუსაბამობა პროგრამის მიზნებსა და ჩამოთვლილ სწავლის შედეგებსა და უნარებს შორის. პროგრამის კურიკულუმში მითითებულია, რომ პროგრამის დამთავრების შემდეგ სტუდენტს შეეძლება: 1) გააგრძელოს ტრადიციული მუსიკის შესწავლა განათლების შემდგომ საფეხურზე, ისევე როგორც 2) იმუშაოს

პროფესიით: იმოღვაწეოს ხალხური და საეკლესიო მუსიკის ანსამბლებში, ჩამოაყალიბოს და ასწავლოს საშემსრულებლო ჯგუფებს როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სწავლის შედეგები და უნარები არ ხსნის/არ ასახავს, თუ როგორ შეძლებს სტუდენტი შრომის ბაზარზე დამკვიდრებას – კერძოდ, " ჩამოაყალიბოს და ასწავლოს საშემსრულებლო ჯგუფებს როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ." შესაბამისად, რეკომენდებულია გადაიხედოს და გაფართოვდეს პროგრამის სწავლის შედეგები და უნარები, რათა უკეთ აიხსნას/აისახოს როგორ მიიღწევა პროგრამის მიზანი - "ჩამოაყალიბოს და ასწავლოს საშემსრულებლო ჯგუფებს როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ", რაც გულისხმობს მენეჯერული და პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების უნარს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- პროგრამის კურიკულუმი
- ინტერვიუს შედეგები ადგილზე ვიზიტის მსვლელობაში
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- სწავლის შედეგების რუკა;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია გადაიხედოს და გაფართოვდეს პროგრამის სწავლის შედეგები და უნარები, რათა უკეთ აიხსნას/აისახოს როგორ მიიღწევა პროგრამის მიზანი -"ჩამოაყალიბოს და ასწავლოს საშემსრულებლო ჯგუფებს როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ", რაც გულისხმობს მენეჯერული და პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების უნარს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

–

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☐	X	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი შედგება სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემების განსაზღვრისგან, შეგროვებისა და ანალიზისგან;

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შესაბამისად. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ეყრდნობა მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის შესაბამის პროცედურებს მკაფიო პროტოკოლების მეშვეობით. შემფასებელთა ჯგუფი სათანადოდ არის ორგანიზებული. მასში შედიან განსხვავებული ფუნქციების მქონე წევრები, რაც უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ შეფასებას. უნივერსიტეტი აწარმოებს შედეგების რეგულარულ შეფასებასა და მონიტორინგს; პროცედურა მოიცავს შეფასების შედეგების გამოყენებას პროგრამის სათანადო გაუმჯობესებისთვის. შეფასების სქემა ადგენს კავშირს პროგრამის სწავლის შედეგებს, პროგრამის სავალდებულო კურსებსა და არსებულ ძირითად სპეციალობებს (majors) შორის. პროგრამის პერსონალი იღებს მხარდაჭერას სწავლის შედეგების შემუშავების, გაზომვისა და ანალიზისთვის საჭირო უნარების განვითარებაში; სასწავლო კურსით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ; გათვალისწინებულია თანმიმდევრულობა და პერიოდულობა, ასევე პროგრამის თავისებურებები. სასწავლო კომპონენტების შეფასების სისტემა აერთიანებს შეფასების მრავალ მეთოდს, როგორიცაა პერიოდული ზეპირი ან წერილობითი ქვიზები, შუალედური და დასკვნითი გამოცდები, ასევე ნაშრომები ან პრეზენტაციები.

უნივერსიტეტს არ წარმოუდგენია პროგრამის სამიზნე ნიშნულების რუკა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნებოდა სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგი და მათი შედარება სამიზნე ნიშნულებთან. უნივერსიტეტს ასევე არ წარმოუდგენია პროგრამის კურსების რუკა (სქემა), სადაც მითითებული იქნებოდა კურსებს შორის წინაპირობების განსაზღვრის ლოგიკა. სასწავლო კურსების წინაპირობები მითითებულია ცალკეული კურსების სილაბუსებში და დაფიქსირებულია მხოლოდ ერთი და იმავე საგნობრივი ჯგუფის შიგნით: მაგალითად, "ქართული გალობა 2"-ის შესწავლა შესაძლებელია მხოლოდ "ქართული გალობა 1"-ის წარმატებით დასრულების შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ კურსს "საველე სამუშაო" არ გააჩნია წინაპირობები, ადგილზე ვიზიტის ინტერვიუების დროს პროგრამის ხელმძღვანელებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ "საველე სამუშაო", რომელიც ტარდება სწავლების ბოლოს (მე-6 სემესტრში), იქნება ძალიან მნიშვნელოვანი, როგორც წინა სწავლის გაგრძელება და დაგროვილი ცოდნის მთლიანობის შემაჯამებელი ეტაპი. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ როგორ ურთიერთქმედებენ სხვადასხვა კურსები ერთმანეთთან და როგორ უნდა ჩამოყალიბდეს პროგრამის კურსების ერთაინი ქსელი. სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ მხოლოდ კურსს "ტრადიციულ გარემოში შესრულების ოსტატობა"- ს წინაპირობად აქვს 3 სხვადასხვა კურსი ("გალობა 5", "ქართული ხალხური სიმღერა 5" და "ქართული ხალხური საკრავები 3"). ეს საშუალებას იძლევა ვივარაუდოთ, რომ ინდივიდუალური კურსები / კურსთა

ჯგუფები პროგრამის შინაარსში წარმოდგენილი არიან დამოუკიდებელ / ავტონომიურ ერთეულებად. რეკომენდებულია გადაიხედოს და შეიქმნას პროგრამის კურსების ერთიანი ქსელი, რათა შემოწმდეს და უზრუნველყოფილი იქნეს საგნების თანმიმდევრული განვითარება, სწავლის შედეგებისა და შეფასების/წინაპირობების მოთხოვნების შესაბამისობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- პროგრამის კურიკულუმი
- ინტერვიუს შედეგები ადგილზე ვიზიტის მსვლელობაში
- სწავლის შედეგების რუკა;

რეკომენდაციები:

- .რეკომენდებულია, პროგრამის განხორციელების გასაძლიერებლად ურთიერთქმედების ქსელის (ასევე წინაპირობების მატრიცის) შექმნა პროგრამის კურსების სწავლის შედეგების რუკასა და შეფასების/წინაპირობების მოთხოვნებს შორის.
- რეკომენდებულია პროგრამის სამიზნე ნიშნულების სქემის მოდელირება, რაც შესაძლებელს გახდის შემოწმდეს სწავლის შედეგები და მოხდეს მათი შედარება სამიზნე ნიშნულებთან, და ასევე უზრუნველყოფს გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობას სწავლის შედეგების შეფასებაში.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

–

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☐	X	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქართული ტრადიციული სიმღერისა და გალობის პროგრამის შექმნისა და განვითარებისას, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტმა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაგეგმვის მეთოდოლოგიის გათვალისწინების გარდა, შეკრიბა პროგრამის სასწავლო კურსების სფეროში მაღალკვალიფიციური და გამოცდილი ლექტორების ჯგუფი და პროგრამის ინიციატორებს მისცა თავისუფლება პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში. საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვიზიტისას ჩატარებული გასაუბრების დროს უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა (განსაკუთრებით, პროგრამის ხელმძღვანელებმა და აკადემიურმა პერსონალმა) ხაზი გაუსვეს პროგრამის უნიკალურობას – პროგრამა ორიენტირებულია სიმღერის, გალობისა და მუსიკალური საკრავების შესრულების უნარების განვითარებაზე სოლო ფორმატში (და არა საგუნდო შესრულებაზე) – ეს არის მიმართულება, რომელიც არ ისწავლება საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. პროგრამის ამ მიდგომით შემუშავება არის ძალზე მისასალმებელი მიდგომა, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული რამდენიმე მსგავსი/შესადარებელი პროგრამა უფრო მეტად აქცენტს აკეთებს კოლექტიურ (მაგ., საგუნდო) მიდგომაზე. თუ შევხედავთ, რა შეიძლება კიდევ ხდიდეს ამ ახალ პროგრამას კონკურენტუნარიანს, - პროგრამის ხელმძღვანელებმა და აკადემიურმა პერსონალმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ისეთი კურსების ჩართვა, როგორიცაა "ტრადიციულ გარემოში შესრულების ოსტატობა" (მე-6 სემესტრში) და კურსი "ქართული ხალხური თამაშები", ასევე მნიშვნელოვანია და პროგრამის სტრუქტურას აქცევს უნიკალურად.

თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი ამჩნევს გარკვეულ შეუსაბამობას - პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე სრულად არ შეესაბამება სწავლების საფეხურს და პროგრამის მიზნებს.

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ კურსი „ქართული ხალხური თამაშები“ არ შედის სავალდებულო კურსების სიაში. იგი შეტანილია პროგრამის არჩევითი კურსების სიაში. სულ არის 11 არჩევითი კურსი (თითოეული 6 ECTS) და მათგან მხოლოდ 3 შეიძლება აირჩიოს სტუდენტმა (18 ECTS-ის შესაგროვებლად). ეს ნიშნავს, რომ სტუდენტებმა შეიძლება არ აირჩიონ „ქართული ხალხური თამაშების“ კურსი და ეს კურსი, როგორც პროგრამის ერთ-ერთი გამორჩეული უნიკალური პუნქტი, უბრალოდ დაიკარგება. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აუცილებელია ამ მიმართულებით პროგრამის გაფართოება და განვითარება და კურსი „ქართული ხალხური თამაშები“ ერთ-ერთია იმათგან, რომლის მნიშვნელობა საკმარისად არ არის დაფასებული. ეს მიგვითითებს იმაზე, რომ საჭიროა გადაიხედოს კურსების სტრუქტურა. მისი მნიშვნელობის გათვალისწინებით, კურსი "ქართული ხალხური

თამაშები" არჩევითი კურსებიდან გადატანილი უნდა იქნეს სავალდებულო კურსების ჩამონათვალში (კურსის მნიშვნელობის შესახებ უფრო დეტალურად განხილულია 2.2 კომპონენტში).

მეორე, პროგრამის აღწერისას მიზნებში უნდა იკითხებოდეს რომ კურსდამთავრებული "შეძლებს ჩამოაყალიბოს და ასწავლოს საშემსრულებლო ჯგუფებს როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ". ეს ნიშნავს, რომ პროგრამის სწავლის პროცესში სტუდენტებმა უნდა დააგროვონ ცოდნა და განავითარონ უნარები, რომლებიც საჭიროა პედაგოგიური საქმიანობისთვის არჩეული სპეციალობის შესაბამისად, ასევე განავითარონ ჯგუფის ჩამოყალიბების უნარები, ანუ განახორციელონ მენეჯერული საქმიანობა. თუმცა, პროგრამის კურიკულუმის ანალიზი ცხადყოფს, რომ სავალდებულო კურსების ჩამონათვალში არ შედის პედაგოგიური და მენეჯმენტის უნარების განვითარებისთვის საჭირო კურსები.

ყველა ზემოთ აღნიშნული შენიშვნა გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ პროგრამის სტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს პროგრამის ზოგიერთი მიზნის მიღწევას. სავარაუდოდ, შეკუმშული და შემცირებული კურიკულუმის ერთ-ერთი პრობლემა ჩნდება იმ გადაწყვეტილების გამო, რომ შემუშავდა 3-წლიანი საბაკალავრო პროგრამა ნაცვლად ტრადიციული, დამკვიდრებული 4-წლიანი სტრუქტურისა. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი ითვალისწინებს უნივერსიტეტის გადაწყვეტილებას 180 ECTS პროგრამის განხორციელების შესახებ, ასევე მხედველობაში იღებს სტუდენტების მზაობას მოკლევადიანი სწავლისთვის (ანუ 3-წლიანი სწავლებისთვის) და პროგრამის ხელმძღვანელების განცხადებას, რომ 3 წელი საკმარისია საჭირო უნარების მისაღებად.

აქედან გამომდინარე, არსებული პროგრამის სტრუქტურისა და მიზნების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტმა უნდა დაამატოს სავალდებულო კურსები, რათა სრულად დაიფაროს თემები, რომლებიც დაკავშირებულია მიზანთან "-"ჩამოაყალიბოს და ასწავლოს საშემსრულებლო ჯგუფებს როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ", რათა უზრუნველყოფილი იქნეს მიზნის ეფექტურად მიღწევა 180 ECTS-ის ფარგლებში. ექსპერტთა ჯგუფი იძლევა შემდეგ რეკომენდაციას: აუცილებელია გადაიხედოს პროგრამის არსებული სტრუქტურა და მოხდეს მისი რეორგანიზება (კერძოდ, კომპეტენციების განმავითარებელი სავალდებულო და არჩევითი კურსების ჩამონათვალი), და პედაგოგიური (სწავლების) და მენეჯერული უნარების განმავითარებელი კურსები შევიდეს პროგრამის კომპეტენციების განმავითარებელ სავალდებულო კურსების ჩამონათვალში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- პროგრამის კურიკულუმი
- გასაუბრების შედეგები ადგილზე ვიზიტის მსვლელობაში
- სწავლის შედეგების რუკა;
- სილაბუსები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია კურსი "ქართული ხალხური თამაშები" არჩევითი კურსებიდან გადავიდეს სავალდებულო კურსების ჩამონათვალში.
- რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის არსებული სტრუქტურა და მოხდეს მისი რეორგანიზება (კერძოდ, კომპეტენციების განმავითარებელი სავალდებულო და არჩევითი კურსების ჩამონათვალი), და პედაგოგიური (სწავლების) და მენეჯერული უნარების განმავითარებელი კურსები შევიდეს პროგრამის კომპეტენციების განმავითარებელ სავალდებულო კურსების ჩამონათვალში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

–

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	X	☐	☐

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

➢ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

➢ ძირითადი სასწავლო დარგის სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სილაბუსების ანალიზი ცხადჰყოფს, რომ პროგრამა მიზნად ისახავს შემსრულებელი-სოლისტის მომზადებას, რომელიც კურსის დასრულების შემდეგ ძირითადად საშემსრულებლო საქმიანობით იქნება დაკავებული. პროგრამის ინიციატორთა განცხადებით, პროგრამა ძირითადად ორიენტირებულია ქართულ ტრადიციულ სიმღერაზე (ხალხურ და საეკლესიო), ავთენტური შესრულების პრაქტიკაზე, ავთენტურ მღერაზე. თუმცა, პირველ რიგში, სილაბუსების ანალიზმა აჩვენა, რომ ზოგიერთი კურსის საბოლოო სემესტრში არ არის დაზუსტებული გამოცდის საშემსრულებლო კომპონენტი (როგორიცაა ადგილობრივი/საჯარო

კონცერტი), რაც ამ ძირითადად პრაქტიკული/საშემსრულებლო საგნის მნიშვნელოვანი და განუყოფელი ნაწილია. ეს კურსებია "ქართული ხალხური სიმღერა", "ქართული საგალობელი" და "ქართული ხალხური საკრავი" - ანუ პრაქტიკული/საშემსრულებლო სწავლება (პირველი ორი ისწავლება 1-ლიდან მე-5 სემესტრამდე, ხოლო ინსტრუმენტებით ვარჯიში- პირველ 3 სემესტრში). ამ ეტაპზე, აღნიშნული 3 კურსის სილაბუსებში საბოლოო გამოცდის შეფასება მოცემულია ზოგადად (მაგ., „ქართული გალობა 5“-ის შემთხვევაში, სტუდენტმა სრულყოფილად უნდა იცოდეს 48 გალობა, რათა დააგროვოს ქულების 100% - ნიშნავს თუ არა ეს, რომ საბოლოო გამოცდის/შესრულების დროს სტუდენტი ყველა 48 სიმღერას შეასრულებს?). რეკომენდებულია გადაიხედოს დასკვნითი გამოცდის პროცედურა შემდეგი კურსების სილაბუსებში: "ქართული ხალხური სიმღერა 5", "ქართული საეკლესიო გალობა 5" და "ქართული ხალხური საკრავი 3", რათა დაკონკრეტდეს შესრულების პრაქტიკული ნაწილის შინაარსი სავალდებულო რეპერტუარის მითითებით, და ასევე მითითებული იქნეს საჯარო ადგილობრივი პრეზენტაციის კონცერტის ფორმა.

მეორე, აღსანიშნავია, რომ თითოეული სასწავლო კურსისთვის/ საგნისთვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობა მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება ამ კურსის/ საგნის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. ეს ნიშნავს, რომ საეჭვოა, რომ ზემოხსენებული 3 კურსი, რომელიც პროგრამის მიზნების მიხედვით ძირითადად შესრულების პრაქტიკის განვითარებაზე უნდა იყოს ორიენტირებული, ასევე მოიცავდეს თეორიული/წერითი კომპონენტების მნიშვნელოვნად დიდ ნაწილს. მაშინ როცა არანაკლებ მნიშვნელოვანი კურსი "ქართული საეკლესიო მუსიკის ისტორია და თეორია" დაგეგმილია მხოლოდ 1 სემესტრში (6 ECTS, მე-4 სემესტრი). გარდა ამისა, აღნიშნული კურსების წერითი ნაწილი (შეფასება / გამოცდა) სილაბუსებში არ არის აღწერილი, მისი შინაარსი გაურკვეველია და, შესაბამისად, ეჭვქვეშ დგება ასეთი დიდი რაოდენობის ქულების საჭიროება. სავარაუდოდ, თეორიული ცოდნის მიწოდება საშემსრულებლო კურსებში ხდება უშუალოდ სიმღერის/გალობის სწავლების და ახსნა-განმარტების პროცესში. მაგრამ გაუგებარია, როგორ შეიძლება მისი წერილობითი ფორმით შეფასება/შემოწმება. თუ წერილობითი შეფასება/გამოცდა გულისხმობს კვლევით ნაშრომს, ის უნდა აჯამებდეს მთლიან კურსს სწავლების დასრულებისას (მაგ., მე-5 სემესტრის ბოლოს). თუმცა, წარმოდგენილი სილაბუსებიდან ჩანს, რომ წერილობითი შეფასება/გამოცდა დაგეგმილია ყოველი სემესტრის ბოლოს - რაც არალოგიკურია და მოკლებულია არგუმენტაციას. მკაფიოდ რეკომენდებულია შემცირდეს თეორიული/წერითი ნაწილი კურსებში "ქართული ხალხური სიმღერა", "ქართული საეკლესიო გალობა" და "ქართული ხალხური საკრავი" და გაფართოვდეს კურსის „ქართული საეკლესიო მუსიკის ისტორია და თეორია“ შინაარსი და მოცულობა 2-3 სემესტრში.

აღსანიშნავია, რომ სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო რესურსები შეესაბამება კურსის/საგნის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას; თუმცა, პროგრამის ხელმძღვანელებმა უნდა განიხილონ და სავალდებულო ლიტერატურის სიაში

შეიტანონ შესაბამისი სფეროს უახლესი კვლევები აკადემიური კურსის/საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით.

იმის გათვალისწინებით, რომ ახლადშემუშავებული პროგრამის შესახებ ინფორმაცია პროგრამის ამოქმედების შემდეგ უნდა განთავსდეს ინგლისურ ენაზე უნივერსიტეტის ვებგვერდსა და სხვა საინფორმაციო არხებზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რეკომენდებულია გადაიხედოს, გასწორდეს და უნიფიცირებული იქნას კურსების სახელწოდებები სილაბუსების ინგლისურ ვერსიაში, პროგრამის კურიკულუმსა და სხვა შესაბამის საჯარო დოკუმენტებში. ამჟამად, ზოგიერთი კურსის სახელწოდება, რომელიც მოცემულია ინგლისურ სილაბუსებსა და პროგრამის კურიკულუმში, შეუსაბამოა:

1) კურსი "Georgian chant" (სახელწოდება მოცემული ინგლისურ პროგრამის კურიკულუმში) ასევე წარმოდგენილია როგორც "Hymn 5" ("ტრადიციულ გარემოში შესრულების ოსტატობის" სილაბუსში) და "Georgian choral singing" (ინგლისური სილაბუსების პაკეტში);
2) კურსი "Georgian folk games" (სახელწოდება მოცემული ინგლისურ პროგრამის კურიკულუმში) ასევე წარმოდგენილია როგორც "Georgian folk plays" (ინგლისურ სილაბუსში).
3) კურსი "Reading in dialect" (სახელწოდება მოცემული ინგლისურ პროგრამის კურიკულუმში) ასევე წარმოდგენილია როგორც "Reading in Modes" (ინგლისურ სილაბუსში).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- პროგრამის კურიკულუმი
- გასაუბრების შედეგები ადგილზე ვიზიტის მსვლელობაში
- სწავლის შედეგების რუკა;
- სილაბუსები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია გადაიხედოს დასკვნითი გამოცდის პროცედურა შემდეგი კურსების სილაბუსებში: "ქართული ხალხური სიმღერა 5", "ქართული საეკლესიო გალობა 5" და "ქართული ხალხური საკრავი 3", რათა დაკონკრეტდეს შესრულების/პრაქტიკული ნაწილის შინაარსი სავალდებულო რეპერტუარის მითითებით, და ასევე მითითებული იქნება საჯარო/ადგილობრივი პრეზენტაციის/კონცერტის ფორმა.
- რეკომენდებულია შემცირდეს თეორიული/წერითი ნაწილი კურსებში "ქართული ხალხური სიმღერა", "ქართული საეკლესიო გალობა" და "ქართული ხალხური საკრავი" და გაფართოვდეს კურსის „ქართული საეკლესიო მუსიკის ისტორია და თეორია“ შინაარსი და მოცულობა 2-3 სემესტრში.
- რეკომენდებულია სილაბუსების, პროგრამის კურიკულუმისა და სხვა შესაბამისი საჯარო დოკუმენტების ინგლისურ ვერსიებში კურსების

სახელწოდებების გადახედვა, გასწორება და უნიფიცირება: “Georgian chant” / hymn / singing, “Georgian folk games” / plays, “Reading in dialect” / modes.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, რომ სავალდებულო ლიტერატურის ნუსხა შეიცავდეს უახლეს კვლევებს შესაბამის სფეროში, აკადემიური კურსის/საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	☐	X	☐	☐

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების ადეკვატურობის შეფასება

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2. 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების ადეკვატურობის შეფასება

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ- ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი

ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაზე სწავლის მსურველებმა საწყის ეტაპზე წარმატებით უნდა გაიარონ შემოქმედებითი ტური. როგორც პროგრამის აღწერაშია მითითებული, "საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვა ხორციელდება საუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურის გავლისა და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ან უნივერსიტეტის შემოქმედებითი ტურის გავლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების შესაბამისად" და თავის მხრივ, რეგისტრაცია ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ხორციელდება პარალელურად. უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან საუბრისას დაზუსტდა შემოქმედებით ტურთან დაკავშირებული ზოგიერთი დეტალი. აღმოჩნდა, რომ თავად შემოქმედებით ტურში მონაწილეობა არ მოითხოვს სწავლის საფასურის წინასწარ გადახდას. ეს გამოცდილება ეფუძნება სხვა პროგრამას– არქიტექტურა და ინტერიერის დიზაინი, რომელშიც შედის სავალდებულო შემოქმედებითი ტური. ითქვა ისიც, რომ შემოქმედებითი ტური იგეგმება ეროვნულ გამოცდებამდე. რეგისტრაციისთვის არ არის საჭირო არაფორმალური მუსიკალური განათლების (მათი შორის დაწყებითი და საშუალო მუსიკალური განათლება, მუსიკალური სკოლები, კოლეჯები, სტუდიები) დამადასტურებელი მტკიცებულების წარდგენა. არ შემოწმდება არც მუსიკის თეორიის ცოდნა.

ახალი პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ ისინი დაინტერესებულნი არიან აპლიკანტების მუსიკალური შესაძლებლობებით და მაღალ მოთხოვნებს უყენებენ მათ. კერძოდ, აღინიშნა, რომ მომავალ სტუდენტს უნდა შეძლოს მოსმენილი სამნაწილიანი მრავალხმიანი სიმღერის სულ მცირე ერთი ხმის გამეორება მაინც. როგორც უკვე აღინიშნა, ამ ეტაპისთვის გამომცდელები შეარჩევენ შედარებით მარტივ, უცნობ ქართულ ხალხურ სიმღერებს. შესაბამისად, აპლიკანტი შეფასდება კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც განსაზღვრავს მუსიკალურ ნიჭს, როგორიცაა განვითარებული მუსიკალური სმენა, როგორც მელოდიური, ასევე ჰარმონიული, მუსიკალური მეხსიერება და რიტმი, პლუს სუფთა ინტონაცია. ხალხურ საკრავზე დაკვრა სავალდებულო არ არის, თუმცა მისი ხსენება ინტერვიუში მიუთითებს, რომ მისზე დაკვრა შეიძლება ჩაითვალოს დამატებით ბონუსად შემოქმედებით ტურში. ამ ეტაპზე აპლიკანტებისთვის მოსამზადებელი კურსები გათვალისწინებული არ არის. ასე, რომ მართლაც სასარგებლო იქნება აპლიკანტებისთვის მოსამზადებელი კონსულტაციების ორგანიზება შემოქმედებითი ტურის წინ.

ადგილზე ვიზიტის დროს ხაზი გაესვა მუსიკალური ოჯახების როლს, რომლებმაც რეალურად შეინარჩუნეს ქართული ტრადიციული მუსიკა; აღინიშნა, რომ ადამიანი, რომელიც გაიზარდა ხალხური მუსიკის გარემოში და შესაბამისად, გააჩნია

გარკვეული (მცირე) შემოქმედებითი გამოცდილება, შეიძლება ჩაითვალოს პოტენციურ სტუდენტად. როგორც უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა განაცხადეს, პროგრამის პოპულარიზაციისა და აპლიკანტების მოზიდვის ყველაზე ეფექტური გზა საქართველოს უნივერსიტეტის გამოცდილებაზე დაყრდნობით არის ტრადიციული "ღია კარის დღეების" და შეხვედრების ჩატარება რეგიონებში, რისთვისაც იგეგმება პროგრამის პერსონალისა და უნივერსიტეტში არსებული გუნდის პოტენციალის გამოყენება. როგორც თავდაპირველმა კვლევამ აჩვენა, აპლიკანტების უმეტესობა რეგიონებიდან იქნება, რადგან ტრადიციული მუსიკა ქვეყანაში ძალიან პოპულარულია.

ახალ პროგრამაზე აპლიკანტების მოზიდვისა და საგანმანათლებლო პროგრამისა და თავად მიმართულების შემდგომი განვითარებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება შემოქმედებითი ტურის აღწერას და მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებს. როგორც აღინიშნა, შემოქმედებითი ტურის მოთხოვნები აპლიკანტისთვის საკმაოდ ბუნდოვანია. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი იძლევა რამდენიმე რეკომენდაციას შემოქმედებით ტურთან დაკავშირებით. კერძოდ: მნიშვნელოვანია, განისაზღვროს და უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსდეს შემოქმედებითი ტურის პირობები: რეგისტრაციის პირობები; ინფორმაცია დამატებითი გადასახადის შესახებ; შემოქმედებითი ტურის განრიგი და სრული ინფორმაცია მის შინაარსზე. კერძოდ: 1) რა დავალება/დავალებები უნდა შეასრულოს განმცხადებელმა; 2) რა კრიტერიუმუთ შეფასდება თითეული მათგანი; 3) დავალების/დავალებების კონკრეტული მაგალითი, როგორც ნიმუში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- პროგრამის კურიკულუმი
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები

რეკომენდაციები:

- **რეკომენდებულია, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ყოვლისმომცველად და მკაფიოდ იყოს ფორმულირებული. შემოქმედებითი ტურის პირობები შემდეგნაირად უნდა განისაზღვროს: რეგისტრაციის პირობები; დამატებითი საფასურის შესახებ ინფორმაცია; შემოქმედებითი ტურის განრიგი და სრული ინფორმაცია მის შინაარსზე, კერძოდ: 1) რა დავალება/დავალებები უნდა შეასრულოს აპლიკანტმა; 2) რა კრიტერიუმებით შეფასდება თითოეული მათგანი; 3) შესასრულებელი დავალების/დავალებების კონკრეტული მაგალითის ნიმუში. აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები უნდა აიტვირთოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, შემოქმედებით ტურამდე აბიტურიენტებისთვის მოეწყოს საკონსულტაციო შეხვედრები.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☐	X	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, სილაბუსების და დამატებითი დოკუმენტების და ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრების თანახმად, ინიცირებული პროგრამა კონცეპტუალურად ახალი და განსხვავებულია ამ მიმართულებით არსებულ სხვა პროგრამებთან შედარებით. როგორც პროგრამის ხელმძღვანელები აღნიშნავენ, მათ შექმნეს საგანმანათლებლო პროგრამა უნიკალური, ორიგინალური კონცეფციის შესაბამისად და ავითარებენ შემოქმედებით, საშემსრულებლო, პრაქტიკულ, სამეცნიერო, კვლევით და ტრანსფერულ უნარებს. პროგრამის მიზანია მოამზადოს ტრადიციულ შესრულებაზე ორიენტირებული მუსიკოსები, რომლებსაც აქვთ მრავალპროფილური განათლება და არიან კონკურენტუნარიანები და აღჭურვილნი როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული ცოდნით. ეს ნიშნავს, რომ პროგრამა აღიქვამს სტუდენტს, როგორც ავთენტურ შემსრულებელს, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას და სტუდენტის მრავალმხრივ განათლებას. პროგრამის მიზნებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად, საგანმანათლებლო პროგრამა გთავაზობთ მრავალფეროვან სპეციალიზებულ, დამხმარე და არჩევით კურსებს, რომელის ფარგლებშიც სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური სპეციალისტი და აფასებს მის საქმიანობას.

გაფორმებული ხელშეკრულებების/მემორანდუმების და ადგილზე ვიზიტის დროს შრომის ბაზრის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუებისა საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფს შეუძლია განაცხადოს, რომ სტუდენტებს შეეძლებათ პრაქტიკული უნარების განვითარება უნივერსიტეტის გარეთაც: შრომის ბაზრის წარმომადგენელმა ფოლკლორული ანსამბლ "მთიებიდან" აღნიშნა, რომ ისინი პროგრამის სტუდენტებს მისცემენ ანსამბლის რეპეტიციებზე დასწრებისა და

ეთნოგრაფიული სტუდიების აქტივობებში მონაწილეობის საშუალებას, ხოლო წმიდა მარიამის მონასტრის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ სტუდენტებს შეეძლებათ სწავლის პერიოდში ეკლესიაში პრაქტიკის გავლა.

პროგრამის მიზანია შეასწავლოს სტუდენტებს ქართული ხალხური სიმღერები, საკრავიერი მუსიკა და საგალობლები ტრადიციულ მუსიკაში საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებული ნორმების შესაბამისად; შეასწავლოს ტრადიციული შესრულების ხელოვნება და მოდალურ-ინტონაციური საფუძვლები ორიგინალური აუდიო ჩანაწერების მუდმივი მოსმენითა და ტრადიციულ შემსრულებლებთან პრაქტიკული მეცადინეობების გზით. პროგრამა სტუდენტებში ავითარებს მუსიკალური კილოებისა და ხმის პარტიების აღქმა-გააზრების უნარს, იმპროვიზაციის ხელოვნებას და სხვადასხვა საშემსრულებლო უნარების ერთდროულად გამოყენების შესაძლებლობებს. თუმცა, განსაზღვრული უნდა იყოს, რომელი კონკრეტული უნარები ვითარდება რომელი კურსების მეშვეობით. მაგალითად, რა უნარებს განავითარებს ჰუმანიტარულ-სოციალური ბლოკიდან შერჩეული საგნები (როგორიცაა "მოქალაქეობა თანამედროვე მსოფლიოში", "დებატები და კრიტიკული აზროვნება"), ასევე STEM საგნებიდან შერჩეული საგნები (მაგალითად, "ანალიტიკური და რაოდენობრივი აზროვნება", "თანამედროვე ტექნოლოგიები").

"ქართული საეკლესიო სიმღერის" (ან "ქართული საგალობლის") კურსში ჩამოთვლილია ისეთი აქტივობები, როგორიცაა: რეპერტუარის გარჩევა; მუსიკალური ტექსტის წაკითხვა და ანალიზი; პრაქტიკული დაუფლება; ტრადიციული ბგერათსიმაღლებრივი (ე.წ. არატემპერირებული) თავისებურებების გათვალისწინება; შესაბამისი მანერით სიმღერა; მხოლოდ მთავარი ხმის სწავლება და სხვა ხმების ინტუიციით პოვნა; იმპროვიზაცია; პრეზენტაცია. სტუდენტთა საშემსრულებლო ოსტატობის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზა არის მათთვის იმპროვიზაციის სწავლება. რადგან იმპროვიზაცია ქართული მუსიკის დამახასიათებელი თვისებაა, ბუნებრივია, რომ რამდენიმე კურსი მოიცავს ამ უნარის განვითარებას.

ექსპერტებს სურთ განსაკუთრებით გამოყონ ერთი კურსი: "ქართული ხალხური თამაშები", რომელიც დიდი მნიშვნელობისაა სტუდენტებისთვის - როგორც კურსის აღწერაშია მითითებული, "სტუდენტები თეორიულად და პრაქტიკულად შეისწავლიან ქართულ ხალხურ თამაშებს ბავშვებისა და მოზრდილებისთვის, მათ ზოგად განსაზღვრებასა და მნიშვნელობას, გაეცნობიან მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის თამაშის ტიპების რიტუალურ და სოციალურ საფუძვლებს". ეს კურსი ასევე ავითარებს სტუდენტის ტოლერანტულობას - თამაშის საშუალებით სტუდენტები ადვილად გადადიან ნაცნობი, ლოკალური გარემოდან საერთაშორისო სივრცეში და ეცნობიან მსოფლიოს სხვადასხვა კულტურას. ეს არის ერთადერთი კურსი პროგრამაში, რომელიც სტუდენტებს პრაქტიკულად ასწავლის მუსიკისა და თამაშების მეშვეობით ბავშვებთან და მოზრდილებთან მუშაობას. ეს კურსი, ასევე მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულთა მომავალი დასაქმების თვალსაზრისით, რადგან პროგრამის სასწავლო გეგმა შეიცავს შემდეგ ჩანაწერს: "მიღებული მრავალმხრივი ცოდნა

კურსდამთავრებულს ეხმარება შრომის ბაზარზე დამკვიდრებაში: ის არა მხოლოდ სასურველი კანდიდატი იქნება ხალხური და საეკლესიო მუსიკის ანსამბლებისთვის, არამედ შეძლებს საშემსრულებლო ჯგუფის ჩამოყალიბებასა და სწავლებას როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ." თუმცა, პროგრამის სავალდებულო საგნების ჩამონათვალში არც ერთი კურსი არ არის ფოკუსირებული მართვისა და პედაგოგიურ უნარებზე, რომლებიც აუცილებელია მუსიკოს-შემსრულებლისთვის, გუნდის/ანსამბლის პოტენციური ხელმძღვანელისთვის (როგორც ეს კურიკულუმის მიზანშია ჩამოყალიბებული). ეს პრობლემა უკვე იყო ნახსენები ანგარიშის 1.4 კომპონენტში თანდართულ რეკომენდაციასთან ერთად.

პროგრამის კურსდამთავრებულისთვის საჭირო სპეციფიკური უნარების განვითარებისთვის სხვა მნიშვნელოვანი კურსებია: "საველე სამუშაო" და "ტრადიციულ გარემოში შესრულების ოსტატობა" - კურსები, რომლებიც მიზნად ისახავს ტრანსფერული, სამეცნიერო და კვლევითი უნარების განვითარებას. საგნის "საველე სამუშაოს" ფარგლებში სტუდენტი გაიზიარებს ტრადიციული მუსიკის კვალიფიციური სპეციალისტის ჩამოყალიბების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოცდილებას, გაეცნობა ეთნომუსიკოლოგიური ექსპედიციის სპეციფიკას, მოსამზადებელ სამუშაოებს, მონაწილეობას მიიღებს 10-დღიან ექსპედიციაში ასისტენტის სახით, მოამზადებს პრეზენტაციას ჩატარებული საველე სამუშაოს შესახებ. ასე რომ, სტუდენტს შეუძლია ექსპედიციის დღიურის წარმოება, საჭირო კითხვარის შემუშავება, ეთნოგრაფიული მონაცემების ჩაწერა ექსპედიციის წესების გათვალისწინებით, რესპონდენტთან ურთიერთობისას ეთიკური ნორმების დაცვა, ექსპედიციის აღჭურვილობის (ხმის ჩამწერი, კამერა, ვიდეოკამერა) გამოყენება. კურსის" ტრადიციულ გარემოში შესრულების ოსტატობა" მიზანია მიიღოს საეკლესიო მსახურებაში გალობის პრაქტიკული გამოცდილება, გაეცნოს ტრადიციული შემსრულებლების ყოველდღიურ ცხოვრებას და უშუალოდ ეთნოფორებისგან გაიზიაროს ხალხური მუსიკის შესრულების გამოცდილება (შესრულების ტრადიციული მეთოდები და ტექნიკა, ხმის გამომუშავება, სპეციფიკური ინტონაციის ნიმუშები და ა.შ.). ამგვარად, ქართული ხალხური სიმღერის, საკრავიერი მუსიკისა და გალობის ოსტატობა გაძლიერდება ავთენტურ გარემოში, ბოლო სემესტრის განმავლობაში უნივერსიტეტის გარეთ ექსპედიციაში მონაწილეობისა და ტრადიციულ შემსრულებლებთან ერთად ვარჯიშის საშუალებით.

მოპოვებული ინფორმაციისა და გასაუბრების თანახმად, პროგრამის სტუდენტები განიხილებიან როგორც ადგილობრივი ანსამბლებისა და გუნდების პოტენციური წევრები. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სტუდენტებს დასჭირდებათ რეგულარული პრაქტიკა და არა მხოლოდ სწავლის ბოლოს. შესაბამისად, პროგრამის ეფექტურობისა და სტუდენტთა პროფესიული უნარების განვითარების მიზნით, ძალიან სასურველია შეიქმნას ქალთა გუნდი და საეკლესიო გუნდი, რომლებიც ივარჯიშებენ კონკრეტულ ეკლესიაში ან უნივერსიტეტის საკათედრო ტაძარში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- პროგრამის კურიკულუმი
- სილაბუსები
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრება

რეკომენდაციები:

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის ეფექტურობისა და სტუდენტთა პროფესიული უნარების განვითარების მიზნით, სასურველია შეიქმნას ქალთა გუნდი და საეკლესიო გუნდი, რომლებიც ივარჯიშებენ კონკრეტულ ეკლესიაში ან უნივერსიტეტის საკათედრო ტაძარში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2. 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	X	☐	☐	☐

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა მიზნად ისახავს კონკურენტუნარიანი მუსიკოსის მომზადებას, რომელსაც გააჩნია ტრადიციული (ავთენტური), შედეგზე ორიენტირებული, მაღალკვალიფიციური, მრავალდარგოვანი პრაქტიკული და თეორიული განათლება. პროგრამა დაფუძნებულია ინდივიდუალურ, ყოვლისმომცველ, სინკრეტულ, ინტერდისციპლინარულ სწავლებაზე ქართული ტრადიციული მუსიკის ორივე სფეროში – საგალობელი და ხალხური მუსიკა. სწავლების პროცესში ჩართულია

მრავალწლიანი საშემსრულებლო, პედაგოგიური და კვლევითი გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალი.

უნივერსიტეტში გასაუბრების დროს არაერთხელ იქნა ხაზგასმული მალხაზ ერქვანიძის მიერ შემუშავებული უნიკალური სწავლების მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია ტრადიციებზე და ემსახურება მათ აღდგენას. ეს „კომპლექსური მეთოდი (მელოდიის, იმპროვიზაციისა და ხმის მოწყობის ერთდროული დამახსოვრება)" უკვე რამდენიმე წელია რაც დაინერგა და ხორციელდება. იგი წარმოადგენს ქართული მუსიკისათვის დამახასიათებელი მიდგომებისა და თანამედროვე პედაგოგიკის შერწყმას მუსიკალური შესრულების სწავლებაში. ამ მეთოდში გამოიყენება შემდეგი აქტივობები: რეპერტუარის გაცნობა, მუსიკალური ტექსტის კითხვა და ანალიზი, მუსიკის პრეზენტაცია/ ნოტაცია აუდიო ჩანაწერიდან, მუსიკის შესწავლა ეთნოფორით, პრაქტიკული მუშაობა, სინკრეტული სწავლება (ინსტრუმენტის თანხლებით, ფერხულის სიმღერა), ტრადიციული მეთოდი (ე.წ. გაუმაგრებელი). აღსანიშნავია, რომ ერქვანიძის კურსში „სტუდენტები იღებენ ქართული ტრადიციული სიმღერის პრაქტიკულ და თეორიულ ცოდნას, და პრაქტიკული ნაწილი მიეწოდებათ ძველი, ტრადიციული მეთოდით - ზეპირი სწავლების გზით. სტუდენტები თეორიულ ცოდნას იღებენ პრაქტიკული მასალის საფუძველზე." აღწერილი გზა პირდაპირ ასახავს და ლოგიკურად აგრძელებს პროგრამის აღწერაში წარმოდგენილ რამდენიმე მეთოდს (პრაქტიკა; ინდივიდუალური; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; შემთხვევის ანალიზი; საჩვენებელი დისკუსია; მუშაობა აუდიო ჩანაწერზე; ზეპირი სწავლება; გუნდური მუშაობა; მუშაობა ნოტებზე, განმარტებებზე; მუშაობა წიგნზე). ეს მეთოდები სრულყოფილად პასუხობს კურსის მიზნებს: სტუდენტი უნდა დაეუფლოს ხმის შედგენის პრინციპებს; გამოიმუშაოს ხმის შედგენის უნარი; იაზროვნოს სამ ხმაში; შეისწავლოს ქართული საეკლესიო გალობის თეორიული საფუძვლები; გამოიმუშაოს ნევმების გამოყენების უნარი სიმღერის სწავლებისას.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური თავისებურებაა სასწავლო კურსის ტრადიციულ გარემოში დაუფლება, რომლის მიზანია სტუდენტებს მისცეს საეკლესიო წირვაზე სიმღერის პრაქტიკული გამოცდილება, ტრადიციული შემსრულებლების ყოველდღიური ცხოვრების გაცნობა და ხალხური მუსიკის შესრულების გამოცდილების პირდაპირ ეთნოფორისგან გაზიარება.

პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს შემდეგს: 1) სტუდენტის მიერ საეკლესიო ჰიმნების შესრულება ლიტურგიაზე; 2) სტუდენტის არჩევანისა და ობიექტური შესაძლებლობების ფარგლებში, გარკვეული დროის გატარება ტრადიციულ შემსრულებელთან სოფლად ან ქალაქში და მისგან სიმღერის და/ან დაკვრის შესწავლა. რაც შეეხება შეფასებას, თითოეული კომპონენტის მონიტორინგს ახორციელებს ადგილობრივი მენტორი საეკლესიო გუნდის ხელმძღვანელის სახით და ტრადიციული შემსრულებელი, კურსის ხელმძღვანელებთან ერთად. ცხადია, რომ სასწავლო კურსებში გამოიყენება თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში გავრცელებული მეთოდები, რომელთა უმეტესობა წარმოდგენილია პროგრამის

აღწერაში. ეს მეთოდები გარკვეული ცვლილებებით გვხვდება სხვადასხვა სასწავლო კურსში.

შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის აღწერა შეესაბამება მის მიზნებს. პროგრამის სასწავლო გეგმა მოიცავს შემდეგ მეთოდებს: ზეპირი სწავლება; მუშაობა აუდიო-ვიდეო ჩანაწერზე; მუშაობა სანოტო სისტემაზე; პრაქტიკული სწავლება; გუნდური მუშაობა; წიგნზე მუშაობა; ქეისის ანალიზი; ახსნა-განმარტება; დემონსტრირება; დისკუსია; და როლური თამაში. თუმცა, აუცილებელია კურსისთვის სპეციფიკური სწავლების მეთოდების დამატება პროგრამაში გამოყენებულ მეთოდებზე დაფუძნებული ერთიანი ჩარჩოს ჩამოყალიბების მიზნით. ანუ, პროგრამის აღწერაში უნდა შევიდეს არა მხოლოდ ძირითადი/ სპეციალობის კურსებში გამოყენებული მეთოდები, არამედ სხვა/ ჯგუფური კურსების სწავლების მეთოდებიც. რეკომენდებულია გარკვეულ კურსებში შემდეგი მეთოდების დამატება:

- „ლიტურგიული" - ჯგუფური სწავლების, პრეზენტაციის, გონებრივი იერიშის მეთოდები.
- „დიალექტზე კითხვა" - პრაქტიკა; ინდივიდუალური; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- გასაუბრებები
- პროგრამის კურიკულუმი
- სილაბუსები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია გარკვეულ კურსებში შემდეგი მეთოდების დამატება: „ლიტურგიული" - ჯგუფური სწავლების, პრეზენტაციის, გონებრივი იერიშის მეთოდები.„დიალექტზე კითხვა" - პრაქტიკა; ინდივიდუალური; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

–

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	☐	x	☐	☐

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუდენტთა შეფასება ხორციელდება საქართველოს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი რეგულაციებისა და მოქმედი სამართლებრივი მოთხოვნების შესაბამისად. პროცესი გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისთვის.

სასწავლო კომპონენტების შეფასების სისტემა მოიცავს შეფასების მრავალ მეთოდს, მათ შორის: პერიოდული ზეპირი ან წერილობითი გამოკითხვა, შუალედური და დასკვნითი გამოცდები, ასევე ნაშრომები ან პრეზენტაციები. სასწავლო კურსები შეიცავს სპეციფიკური მიზნებისა და შინაარსის მიხედვით შემუშავებულ შეფასების კომპონენტებს. პრაქტიკული კომპონენტების შეფასება ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე. თუმცა, სამი კურსის სილაბუსში ("ქართული ხალხური სიმღერა 5", "ქართული საგალობელი 5" და "ქართული ხალხური საკრავი 3") დასკვნითი გამოცდა მხოლოდ ზოგადად არის აღწერილი. აღნიშნული პრობლემა დაისვა და განხილულ იქნა 1.5 კომპონენტში, თან ახლდა რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ სილაბუსებში უნდა გადაიხედოს დასკვნითი გამოცდის პროცედურა, დაზუსტდეს შესრულების/ პრაქტიკული ნაწილის შინაარსი, მიეთითოს სავალდებულო რეპერტუარი, საჯარო/ ადგილობრივი პრეზენტაციის/ კონცერტის ფორმა.

შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები დეტალურად არის აღწერილი კურსის სილაბუსებში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. შეფასების კომპონენტებისა და კრიტერიუმების შემუშავება ერთობლივი პროცესია, რომელშიც მონაწილეობენ კურსის ავტორი, პროგრამის ან დეპარტამენტის ხელმძღვანელი და სკოლის დირექტორი.

შეფასებით უკმაყოფილების შემთხვევაში, სტუდენტებს უფლება აქვთ გაასაჩივრონ მიღებული ქულა. გასაუბრებებში სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ იცნობენ შეფასების სისტემას და იციან შედეგების გასაჩივრების პროცედურა. ეს შესაძლებლობები ხორციელდება UG ონლაინ სისტემის მეშვეობით. სისტემის ძლიერ მხარეს წარმოადგენს ის, რომ შეფასებასთან ერთად, პედაგოგს შეუძლია თითოეული ნაწილისთვის დატოვოს დეტალური კომენტარები და ყოვლისმომცველი უკუკავშირი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბაკალავრიატის დებულება
- პროგრამის კურიკულუმი
- ონლაინ UG სისტემა
- სილაბუსები
- გასაუბრების შედეგები ადგილზე ვიზიტის მსვლელობაში

რეკომენდაციები:
–

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის
–

შეფასება
გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4. სტუდენტების შეფასება	X	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას სტუდენტების შესაბამისი სერვისების მიწოდებით; ხელს უწყობს სტუდენტთა მაქსიმალურ ცნობიერებას, ახორციელებს მრავალფეროვან აქტივობებს და ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრებსა და დოქტორანტებს უწევენ სათანადო ხარისხის სამეცნიერო ხელმძღვანელობას.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში უსდ- ის პროგრამაში ან/ და სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული ადამიანებისგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტში სტუდენტები იღებენ ინფორმაციას სხვადასხვა არხის საშუალებით, როგორიცაა სტუდენტური პორტალი, უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდი და საკონსულტაციო შეხვედრები ადმინისტრაციასა და აკადემიურ პერსონალთან. საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული

პერსონალი ერთვება სტუდენტებთან კონსულტაციებში და აწვდიან მათ შესაბამის ინფორმაციას.

პროგრამის მეშვეობით, სტუდენტებს შეუძლიათ პირდაპირ მიიღონ სასურველი საგნების სილაბუსები MY UG- ზე ან უნივერსიტეტის ვებგვერდზე (www.ug.edu.ge). მოკლე სილაბუსები ხელმისაწვდომია ყველა მნახველისთვის, ხოლო დეტალური სილაბუსები - რეგისტრაციის შემდეგ. ჩარიცხვისას სტუდენტები იღებენ პირად კოდსა და პაროლს, რაც მათ აძლევს ინფორმაციაზე წვდომის და ასევე ადმინისტრაციასთან და აკადემიურ პერსონალთან კომუნიკაციის საშუალებას.

უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს აქტიურ სტუდენტურ ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობას სტუდენტური კლუბებისა და სერვის-ცენტრის მეშვეობით, რომელიც ფუნქციონირებს შესაბამისი დებულების შესაბამისად და აძლევს სტუდენტებს საშუალებას განახორციელონ თავიანთი იდეები. საკუთარი პროექტების განსავითარებლად სტუდენტები იღებენ ფინანსურ მხარდაჭერას და აკადემიურ მითითებებს.

უნივერსიტეტი სთავაზობს სხვადასხვა ტრენინგ-სესიებსა და მასტერ კლასებს, რომლებიც რამდენჯერმე იმართება წლის განმავლობაში და ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისთვის. ამ სერვისის მეშვეობით, სტუდენტებს წლის განმავლობაში მიეწოდებათ ინფორმაცია სამუშაო ვაკანსიებზე. გარდა ამისა, იმართება დასაქმების ფორუმი, რომელიც სტუდენტებს აძლევს პოტენციურ დამსაქმებლებთან პირისპირ ურთიერთობის შესაძლებლობას.

სტუდენტური მხარდაჭერის სერვისების გასაუმჯობესებლად, რეგულარულად ტარდება სტუდენტთა გამოკითხვები. ეს პრაქტიკა გასაუბრებებზე დაადასტურეს როგორც სტუდენტებმა, ისე კურსდამთავრებულებმა.

სტუდენტური მხარდაჭერის სერვისების გასაუმჯობესებლად, უნივერსიტეტი რეგულარულად ატარებს სტუდენტთა გამოკითხვებს სტუდენტური გამოცდილების სხვადასხვა ასპექტის შესაფასებლად. ამ მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის გზით, უნივერსიტეტს შეუძლია გამოავლინოს ძლიერი მხარეები და გასაუმჯობესებელი სფეროები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა საჭიროებების ეფექტურ დაკმაყოფილებას. როგორც ახლანდელმა სტუდენტებმა ისე კურსდამთავრებულებმა გასაუბრებების დროს დაადასტურეს ამ გამოკითხვების მნიშვნელობა, გამოკვეთეს, თუ რა როლი ითამაშა მათმა მონაწილეობამ უკუკავშირის პროცესში სტუდენტური სერვისების შეცვლასა და სასწავლო გეგმის გაუმჯობესებაში დროთა განმავლობაში.

სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ პროგრამის განვითარების საბჭოში მათ ჰყავთ თავისი წარმომადგენელი, და ხაზი გაუსვეს, რომ მათ როლი აღნიშნულ საბჭოში უაღრესად ღირებულია. ეს ჩართულობა სტუდენტებს საშუალებას აძლევს აქტიურად შეიტანონ წვლილი აკადემიური პროგრამების შემუშავებასა და გაუმჯობესებაში, რაც უზრუნველყოფს მათი პერსპექტივებისა და საჭიროებების გათვალისწინებას გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.

შეგროვებული ინფორმაცია ეხმარება უნივერსიტეტს მოარგოს თავისი მხარდაჭერის სერვისები სტუდენტთა მოლოდინებს და უწყვეტად მოერგოს მათ ცვალებად საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებების შედეგები
- ონლაინ UG
- My UG

რეკომენდაციები:
–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
–

შეფასება
გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	x	☐	☐	☐

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მაგისტრანტის / დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო / სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ- მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☐	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა

ჩართული პროგრამის განხორციელებაში.

- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

„ქართული ტრადიციული მუსიკის" საბაკალავრო პროგრამაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება სამეცნიერო და პრაქტიკულ სტანდარტებს.

პროგრამა დაკომპლექტებულია პერსონალით, რომლის განათლება, გამოცდილება და უნარები დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით. თითოეული თანამშრომელი იცნობს საკუთარ უფლებებს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს, რომლებიც დეტალურადაა აღწერილი სტრუქტურული ერთეულის რეგულაციებსა და სამუშაო აღწერილობებში. პერსონალის შერჩევისას ყურადღება ექცევა პედაგოგიურ, პრაქტიკულ (საშემსრულებლო) და სამეცნიერო გამოცდილებას.

დოკუმენტში მოცემულ ცხრილში "ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების შესახებ" მითითებულია, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 21 აკადემიური და მოწვეული პერსონალი. პროფესორის, ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური პოზიციის დასაკავებლად სავალდებულოა დოქტორის აკადემიური ხარისხი. ასისტენტის პოზიციაზე ასევე შეიძლება შეირჩეს უნივერსიტეტის დოქტორანტი. პროფესორს უნდა ჰქონდეს სულ მცირე 6 წლიანი სამეცნიერო და პედაგოგიური გამოცდილება, ხოლო ასოცირებულ პროფესორს - სულ მცირე 3 წლიანი გამოცდილება. 10 აკადემიური პერსონალიდან (5 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი) 9 აფილირებულია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან. თუმცა, გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ აკადემიური პერსონალის ნაწილი ჯერ არ არის შერჩეული, მათ შორის პროგრამის სამივე ხელმძღვანელი. უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციისა და გასაუბრების თანახმად დადასტურდა, რომ 5 დეკემბერს გამოცხადდა კონკურსი აღნიშნულ პროგრამაზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად, რის შედეგადაც პროგრამის სამი ხელმძღვანელიდან ერთი სრულად იქნება აფილირებული უნივერსიტეტთან. აფილირება რეგულირდება „საქართველოს უნივერსიტეტის აფილირებული და არა- აფილირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის წესით". პერსონალის უფლებები და პასუხისმგებლობები დეტალურადაა აღწერილი სტრუქტურული ერთეულის რეგულაციებსა და სამუშაო აღწერილობებში.

პროგრამის ინიცირებისას, პროგრამის ხელმძღვანელი იღებს პასუხისმგებლობას: დაიქირაოს მოწვეული აკადემიური პერსონალის ხელმძღვანელი (აკადემიური დეკანი); განსაზღვროს დამატებითი მოწვეული პერსონალის საჭიროება აკადემიური სემესტრის დაწყებამდე პროგრამის მოთხოვნების საფუძველზე; მოძებნოს შესაბამისი პერსონალი, განახორციელოს წინასახელშეკრულებო

მოლაპარაკებები, შეათანხმოს კონტრაქტის პირობები და სულ მცირე 1 თვით ადრე აკადემიური სემესტრის დაწყებამდე დაუკავშირდეს ადამიანური რესურსების განვითარების სამსახურს. ადამიანური რესურსების განვითარების სამსახური უზრუნველყოფს მოწვეული აკადემიური პერსონალის გადამზადებას, ვებ-ტექნოლოგიების განვითარების მომსახურებასა და სასწავლო პროცესს ადმინისტრაციის სამსახურის მონაწილეობით.

მოწვეული პერსონალის რაოდენობა შეადგენს 11-ს. სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებულ მოწვეულ პერსონალს აქვს მოწვეული პროფესორის/ ასოცირებული პროფესორის სტატუსი, იმის მიხედვით რომელი აკადემიური თანამდებობა უჭირავთ მათ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. სხვა მოწვეული პერსონალი იღებს მოწვეული უფროსი ლექტორის (თუ მას დოქტორის ხარისხი აქვს) ან მოწვეული ლექტორის სტატუსს (თუ მას დოქტორის ხარისხი არ აქვს).

უნივერსიტეტმა წარმოადგინა სრულ განაკვეთზე მომუშავე პერსონალის ეკვივალენური მაჩვენებელი, აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მთლიან პერსონალთან, პედაგოგთა თანაფარდობა სტუდენტენთან, რაც შეესაბამება პერსონალის რაოდენობას. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე პროგრამაში დასაქმებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი შეესაბამება მიმდინარე სტუდენტთა რაოდენობას. აკრედიტაციის შემდეგ, პროგრამის განვითარების შესაძლებლობა შექმნის ახალი პერსონალის მოზიდვის საჭიროებას; პროგრამის ხელმძღვანელებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ პროფესიული პერსონალის პროგრამაში შემოყვანა უკვე დაწყებულია და აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა თანდათანობით გაიზრდება საჭიროებისამებრ.

„ქართული ტრადიციული მუსიკის" პროგრამას სამი ხელმძღვანელი ჰყავს, რომელთა კვალიფიკაცია, პროფესიონალიზმი და გამოცდილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მათი იდეები, მეთოდოლოგიური მიგნებები, საგანმანათლებლო, სამეცნიერო და საშემსრულებლო ლიტერატურა გამოიყენება სხვა მუსიკალურ უნივერსიტეტებში სასწავლო რესურსებად. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მათ გააჩნიათ უზარმაზარი პრაქტიკული, შემოქმედებითი გამოცდილება. მათ აღმოაჩინეს, გაშიფრეს და ჩაიწერეს ქართული ხალხური სიმღერა-გალობის იშვიათი ნიმუშები, რომელთა ნოტაცია, გამოქვეყნება, გაჟღერება და პოპულარიზაცია რთული პროცესია. მათ ზუსტად იციან რა განსაზღვრავს აღნიშნული პროგრამის განვითარებასა და წარმატებას. მეთოდოლოგიური მიგნებები არის პრიორიტეტი, რაც პროგრამას სხვა ანალოგებთან შედარებით უნიკალურს გახდის. გიორგი უშიკიშვილი - შემდეგი კურსების წამყვანი: "ქართული ხალხური სიმღერა", "საკვალიფიკაციო ნაშრომი". მალხაზ ერქვანიძე გაუძღვება შემდეგ სასწავლო კურსებს: "ქართული ტრადიციული სიმღერა", "კითხვა კილოში", "ქართული ხალხური სიმღერა" და "საკვალიფიკაციო ნაშრომი". ოთარ კაპანაძე არის შემდეგი კურსების ავტორი: "ქართული ხალხური სიმღერა", "ქართული ხალხური საკრავები" (თეორიული ნაწილი), „პრაქტიკული მუშაობა“, „საკვალიფიკაციო ნაშრომი“.

პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის 9 წევრიდან 4-ს აქვს დოქტორის ხარისხი, რომლებიც წარუძღვებიან სამეცნიერო და პრაქტიკულ კურსებს. თუმცა, აღსანიშნავია სხვა მოწვეული პერსონალის პროფესიონალიზმი და გამოცდილება პრაქტიკული კუთხით, რაც მეტად მნიშვნელოვანია პროგრამის განხორციელებისთვის. დარგობრივი პერსონალის გარდა, პროგრამას გააჩნია ძირითადი და არჩევითი ბლოკის მასწავლებლები, რომლებიც უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალია.

პერსონალის სამუშაო დატვირთვა და ანაზღაურება განისაზღვრება „საქართველოს უნივერსიტეტის პერსონალის რეგულაციებით", სადაც ვკითხულობთ: სრული განაკვეთის აკადემიური პერსონალი მუშაობს კვირაში 40 საათს და არ აქვს უფლება სხვა უნივერსიტეტში დაიკავოს საგანმანათლებლო ან სხვა სახის თანამდებობა.

ნახევარ განაკვეთზე მომუშავე პერსონალი მუშაობს საათობრივი დატვირთვისა და ანაზღაურების პრინციპით. შესაძლებელია არასრულ განაკვეთზე თანამშრომლებთან ექსკლუზიური ხელშეკრულების გაფორმება, რომელიც კრძალავს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებას. აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა ვრცელდება ნახევარ განაკვეთზე დასაქმებულ პირზე მისი დატვირთვის პროპორციულად. სასწავლო დატვირთვის გარდა, იგი ვალდებულია ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით გამოყოს ყოველკვირეული საკონსულტაციო საათები და მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის ღონისძიებებში. დაახლოებით 250 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი ემსახურება საქართველოს უნივერსიტეტის აკადემიური პროგრამების განხორციელებას. მათ შორის: პროგრამის ადმინისტრაციული მხარდაჭერისთვის, საგანმანათლებლო პროცესის ადმინისტრაცია, ბიბლიოთეკა, სკოლა (პროგრამის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეული), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადამიანური რესურსების სამსახური, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, სტუდენტთა საქმეების ცენტრი, იურიდიული სერვისი, IT სერვისი და სხვ., სადაც შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი მუშაობს. უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების პოლიტიკის მიხედვით, აღნიშნული პერსონალის უდიდესი ნაწილი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები არიან. სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურში ამჟამად დასაქმებულია 14 თანამშრომელი, ბიბლიოთეკაში - 6, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში - 5, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურში - 7, სტუდენტურ საკითხთა ცენტრში - 2 თანამშრომელი. სტუდენტებისთვის არსებობს ე.წ. ფრონტ- დესკი, რომელიც პასუხობს სტუდენტებისა და ლექტორების ყველა ძირითად საჭიროებებს და მდებარეობს ორ ლოკაციაზე. აღნიშნულ სამსახურში სტუდენტს შეუძლია პირისპირ მიმართოს თანამშრომელს მისთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხზე და მიიღოს სასურველი ინფორმაცია და დოკუმენტაცია. სხვა პროგრამების სტუდენტებთან გასაუბრებამ გამოავლინა, რომ უნივერსიტეტს გააჩნია მაღალკვალიფიციური

ადმინისტრაციული, დამხმარე, აკადემიური და მოწვეული ადამიანური რესურსი, და სტუდენტთა საჭიროებები ყველა ასპექტში გათვალისწინებულია.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი [5]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	10	2	10	9
- პროფესორი	5	2	5	4
- ასოცირებული პროფესორი	5	0	5	5
- ასისტენტ–პროფესორი	0	0	0	0
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	11	8	7	_
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	_

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- თვითშეფასების ანგარიშის ინდივიდუალური და რაოდენობრივი ინდიკატორები. დანართი 1 (Excel)
- საქართველოს უნივერსიტეტის საშტატო დებულება. 4.12.2024 N33/23 ოქმის ცვლილება დოკუმენტში.
- პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაოს აღწერა. ბრძანება (N574/17, 20.10.2017წ.)
- საშტატო შრომითი ხელშეკრულებები
- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება. დოკუმენტში ცვლილება N31/23. 16.10.2023 ოქმით
- პერსონალის ნუსხა და სასწავლო კურსები
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრული დატვირთვა (Excel)
- პროგრამის სასწავლო გეგმა
- პერსონალის CV და საგანმანათლებლო დოკუმენტაცია
- ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების შესახებ.

რეკომენდაციები: -

[5] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხშირი შეხვედრების ჩატარება პროგრამის უკეთ გაცნობისა და შემდგომი განვითარების მიზნით.
- სასურველია, უნივერსიტეტმა პროგრამის ფარგლებში მოიზიდოს აკადემიური პერსონალი, რომელსაც მიეცემა აფილირების შესაძლებლობა.
- სასურველია, პროგრამის ხელმძღვანელებმა იზრუნონ მოწვეული პერსონალისთვის კომფორტული გარემოს შექმნაზე და ამ გარემოში მათ ადაპტაციაზე. სასურველია, მიეცეთ მათ ლექციების ჩატარებისა და სამეცნიერო მუშაობის განხორციელების შესაძლებლობა, ჩაერთონ რეგიონულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო და შემოქმედებით აქტივობებში და ასევე სასურველია, მათი სამეცნიერო საქმიანობის წახალისება. ეს ყველაფერი გაზრდის როგორც მოქმედი პედაგოგების მოტივაციას, ასევე ხელს შეუწყობს ახალი კადრების მოზიდვას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1. ადამიანური რესურსი	X	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი / თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო - კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ–პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			_
სამეცნიერო პერსონალი			_

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ- მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია	☐	☐	☐	☐

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.

უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო / კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის, თანმხლები დოკუმენტაციის მიმოხილვისა და ხელოვნებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების სკოლის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ადმინისტრაციასთან და სტუდენტებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სასწავლო კურსებისა და ლექტორების შეფასების კითხვარები, რომლის შევსებაც სავალდებულოა ყოველი სტუდენტისთვის. მიღებული ინფორმაცია სტანდარტულად გროვდება და წარედგინება პროგრამის განვითარების საბჭოს კონსოლიდირებული შედეგების სახით. მიღებული მონაცემების საფუძველზე, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას შემდგომი რეაგირების შესახებ. სწავლებასთან და ლექტორის შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები მოწმდება არა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, არამედ კონკრეტული პროგრამის განვითარების საბჭოს მიერ. შესაბამისად, შეფასების მონაცემებზე რეაგირება დეცენტრალიზებულია. მაგალითად, იყო შემთხვევა, როდესაც ლექტორის შესახებ ითქვა, რომ იგი არ ფლობდა საგანს - უცხო ენას. თუმცა, პროგრამის განვითარების საბჭომ გამოიკვლია საკითხი და

დაადგინა, რომ ლექტორი მოქმედი თარჯიმანი იყო. პრობლემა ის იყო, რომ ენა ისწავლებოდა ახალი წიგნით, რთული ტერმინოლოგიით. პრობლემა აღმოიფხვრა წიგნის შეცვლით. კოლეგების მიერ ლექციების შემოწმება არ ხდება, ეს მეთოდი 2012 წლიდან არ გამოუყენებიათ.

1. ყველა კონკრეტული კურსის ლექტორს უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია შეფასების შესახებ და მათთან შეთანხმებით, საჭიროების შემთხვევაში, უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილებები სასწავლო მასალის ცვლილებასთან, სწავლების მეთოდების გაუმჯობესებასა და/ ან სხვა საკითხებთან დაკავშირებით;

2. კონკრეტულ პედაგოგებთან ერთად უნდა მოხდეს საბაკალავრო პროგრამის ზოგიერთ კომპონენტთან დაკავშირებით სტუდენტთა უარყოფითი გამოხმაურებების ანალიზი;

3. პროგრამაში შემავალი კურსებისა და ლექტორების შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაცია უნდა მიეწოდოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს დროული რეაგირებისთვის;

4. სპეციალობისთვის მნიშვნელოვანი საქმიანობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით სტუდენტთა მოსაზრებები მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული;

5. პროგრამის დამუშავების შემდეგ, საბჭოს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გატარდა გამოკითხვის შედეგებზე რეაგირებისთვის.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტებმა გამოთქვეს სურვილი გამოკითხვის წარდგენის დროის შესახებ, რადგან ამჟამად წარდგენის დრო არდადეგების პერიოდს ემთხვევა. გარკვეული პერიოდის განმავლობაში გაგზავნილი კითხვარის არ შევსების შემთხვევაში, სისტემა მათ არ აძლევს სხვა აქტივობებზე, მაგალითად, გამოცდის შედეგების ნახვაზე გადასვლის საშუალებას. მათი სურვილების გათვალისწინებით, სასურველია კითხვარების შევსების შეთავაზება მათთვის არდადეგების პერიოდში.

გასაუბრების დროს, უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების სკოლის თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტი მხარს უჭერს მათ პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლას. უნივერსიტეტმა მოიყვანა საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობისა და პუბლიკაციებისთვის სრული ფინანსური მხარდაჭერის მაგალითები. გარდა ამისა, პერსონალის აკადემიური მიღწევები პრემიებით აღინიშნება.

ახალი პროგრამა გაძლიერდება აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდით. თავის მხრივ, მაღალკვალიფიციურ მოწვეულ პერსონალ სჭირდება მოტივაცია და, შესაბამისად, კარიერული წინსვლა, რისი პოტენციალიც ახალ პროგრამას და უნივერსიტეტს ნამდვილად აქვს. შეგროვებული ინფორმაციის თანახმად, ახალ პროგრამაში პირდაპირ ჩართული სპეციალისტები მოიაზრებიან მოწვეულ პერსონალად. პროგრამის ხელმძღვანელებს შორის გიორგი უშიკიშვილი პროფესორია (აღსანიშნავია, რომ იგი ხელმძღვანელობს მამაკაცთა ხალხურ გუნდს), მალხაზ ერქვანიძე და ოთარ კაპანაძე ამჟამად მოწვეული ლექტორები არიან. გასაუბრების დროს დაზუსტდა, რომ ისინი აკადემიურ თანამდებობას უახლოეს

მომავალში მიიღებენ. თუმცა სასურველია პროექტის მომზადება მოწვეული პერსონალისთვის აკადემიური პოზიციების დასაკავებლად.

შენობა, გარემო, ბიბლიოთეკა, სამუსიკო ცენტრი, აუდიტორიები და აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის არსებული პირობები თანამედროვე და სასარგებლოა. ახალი პროგრამის ხელმძღვანელები და მოწვეული ლექტორები ასევე მკვლევრები არიან. თამაზ ბერაძის თანახმად, საქართველოთმცოდნეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ერთ- ერთი მიზანია „ქართველოლოგიაში სამეცნიერო-კვლევითი პროგრამებისა და პროექტების შემუშავება და განხორციელება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობით".

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ფორმები
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებების შედეგები
- პერსონალის მოვალეობები

რეკომენდაციები: -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სტუდენტთა პრობლემებისა და სურვილების გათვალისწინებით, სასურველია კითხვარების შევსების შეთავაზება არდადეგების პერიოდში.
- სასურველია მომზადდეს პროექტი მოწვეული პერსონალისათვის აკადემიური პოზიციების დასაკავებლად.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	X	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის შესწავლისა და ადგილზე სივრცეების დათვალიერების შემდეგ გაირკვა საგანმანათლებლო დაწესებულების ინფრასტრუქტურის გამართულობა. ადგილზე ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა ისაუბრა ადმინისტრაციასთან იმის შესახებ, როგორ განისაზღვრება და ნაწილდება ინფრასტრუქტურული ინვესტიციები. მოწოდებული ინფორმაცია ზუსტი და სტანდარტთან შესაბამისი იყო. დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ დაწესებულებას გააჩნია ორი საგანმანათლებლო შენობა, რომლებიც მოიცავს ბიბლიოთეკას, სარეპეტიციო და სალექციო დარბაზებს და საკონცერტო დარბაზს. სალექციო დარბაზები აღჭურვილია საჭირო ინვენტარით (კომპიუტერი, პროექტორი, მონიტორი). სარეპეტიციო სივრცეებში განთავსებულია როიალები და პიანინოები, სადაც გაიმართება მუსიკალური პრაქტიკული შეხვედრები, ასევე ხალხური საკრავები დაცულია სპეციალურად დამზადებულ ხის კარადებში, და იგეგმება სწავლებისთვის საჭირო რესურსების მუდმივი განახლება. პროგრამის ხელმძღვანელებთან და ხარისხის სამსახურთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ უნივერსიტეტს გააჩნია საინფორმაციო ბაზა, სადაც არის მონაცემები საქართველოში ხალხური საკრავების საუკეთესო ოსტატების შესახებ, შესაბამისად კეთდება შეკვეთები, რის გამოც ინსტრუმენტების ხარისხი მაღალია. შემოქმედებითი მუშაობისთვის საჭირო აუდიტორიები სათანადოდ არის მოწყობილი, ხმის იზოლაციისა და აკუსტიკის გათვალისწინებით. ბიბლიოთეკა აღჭურვილია საჭირო მოწყობილობებით. წიგნადი ფონდი მუდმივად განახლდება. უნივერსიტეტს აქვს წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე, მათ შორის: Ebsco, Scopus, ScienceDirect, JSTOR. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი იტევს საკმარისი რაოდენობის სტუდენტებს ქვიზების, წერითი ტესტების და ა.შ. ჩასატარებლად. ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, პლანშეტებით სტუდენტთა ინდივიდუალური მუშაობისთვის. ბიბლიოთეკაში არსებობს ონლაინ კატალოგის სისტემა, ასევე სასწავლო ლიტერატურა დაკავშირებულია საგნის სილაბუსთან ელექტრონულ ჟურნალებში. მთლიანი შენობა აღჭურვილია ინტერნეტით. სასწავლო სივრცეებში განთავსებული კომპიუტერების რაოდენობა შეადგენს 1 კომპიუტერს 8-10 სტუდენტზე. ბიბლიოთეკის რესურსები, სადაც ხელმისაწვდომია პროგრამის მიერ მოწოდებული სავალდებულო ლიტერატურა და ელექტრონული რესურსები, უზრუნველყოფს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ბიბლიოთეკა აღჭურვილია საბეჭდი, ასლგადამღები და სკანირების საშუალებებით. აქვე ხელმისაწვდომია აკადემიური ჟურნალების უახლესი გამოცემები. აღნიშნული მონაცემებით განისაზღვრება სტანდარტის შეფასების კრიტერიუმებთან შესაბამისობა. გარდა ამისა, უნივერსიტეტის ბაზაზე მოქმედებს

მუსიკალური კოლექტივები, მათ შორის ხალხური სიმღერის გუნდი, რომელშიც შედიან სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტები. თუმცა სასურველია, რომ უნივერსიტეტს ჰქონდეს მოცულობითი სივრცე, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საკონცერტო დარბაზი, სადაც გაიმართება შემოქმედებითი ღონისძიებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ინფრასტრუქტურის დათვალიერება
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებების შედეგები

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, რომ უნივერსიტეტს ჰქონდეს სტანდარტული საკონცერტო დარბაზი, სადაც ფართო მაყურებლისთვის გაიმართება შემოქმედებითი ღონისძიებები.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	X	☐	☐	☐

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

„ქართული ტრადიციული მუსიკის" პროგრამის ხელმძღვანელებმა პროგრამის ბიუჯეტი განიხილეს და შეათანხმეს უნივერსიტეტის ფინანსურ მენეჯერთან და ცენტრალურ ადმინისტრაციასთან უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტის ფარგლებში გათვალისწინებული აუცილებელი ფინანსური რესურსების უზრუნველსაყოფად. პროგრამისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსები შემდეგნაირად ნაწილდება: ძირითადი ხარჯი პირდაპირ გამოიყენება პროგრამული უზრუნველყოფისთვის

(აკადემიური პერსონალის და სხვა პირების ანაზღაურება), ხოლო შემოსავლის შედარებით მცირე ნაწილი გამოიყენება გადასახადების, ეკონომიკური და საოფისე ხარჯების დასაფარად. ადმინისტრაცია ადასტურებს აკრედიტებული პროგრამის ფინანსურ მხარდაჭერას. ადმინისტრაციის თქმით, პროგრამის კონტექსტი უნიკალურია, მასში აისახება ქართული ტრადიციული მუსიკის სხვადასხვა ასპექტი, რაც აუცილებელია ადამიანის იდენტობისთვის. პროგრამის ფარგლებში, ხელმძღვანელები გეგმავენ სხვადასხვა აქტივობებს, მათ შორის სამუშაო შეხვედრებს, მასტერ- კლასებს ქართველი და უცხოელი დაინტერესებული პირებისთვის, საკონცერტო საქმიანობას, ლიტერატურის გამოცემას, რაც პროგრამისა და უნივერსიტეტისთვის დამატებითი შემოსავლის წყარო გახდება. ადმინისტრაციის თქმით, უნივერსიტეტს აქვს სტუდენტებისა და პერსონალის ფინანსური მხარდაჭერის პრაქტიკა - სამეცნიერო საქმიანობაში მონაწილე პერსონალისა და სტუდენტების ორმაგი წახალისება. მაგალითად, საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილე პედაგოგს და სტუდენტს სრულად უფინანსდებათ სტატიისა და მგზავრობის ხარჯები და ასევე იღებენ ფულად პრემიას მონაწილეობისთვის. გაანალიზებული ბიუჯეტისა და გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის პირდაპირი ხარჯი შეადგენს 81,153 ლარს. აქედან 18,019 ლარი გამოყოფილია აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელფასებისთვის. წელიწადში სამი სტუდენტი იღებს გრანტს, თითოეულის დაფინანსება შეადგენს 1000 ლარს, სამი წლის განმავლობაში დაფინანსდება 9 სტუდენტი (9 ათასი ლარი). გარდა ამისა, 35,600 ლარი გამოყოფილია სხვა ხარჯებისთვის, მათ შორის სამეცნიერო კვლევები, პერსონალის პროფესიული განვითარება, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარის შესყიდვა. ბიუჯეტში არ არის დაკონკრეტებული სწავლებაში ჩართული პერსონალის ანაზღაურება, რადგან ეს დამოკიდებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვასა და სტატუსზე. მთლიანობაში, სტანდარტი დადებითად ფასდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებების შედეგები
- პროგრამის ბიუჯეტი (ექსელის ფაილი)

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში

				მოთხოვნებთან
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	X	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან / პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტს გააჩნია პროგრამის შედეგების შეფასების სტრუქტურირებული სისტემა, რომელიც მიმართულია მუდმივ გაუმჯობესებაზე. ეს პროცესი იყენებს პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდებს სწავლის შედეგების გასაზომად და დასახვეწად, რაც უზრუნველყოფს პროგრამების შესაბამისობას აკადემიურ და პროფესიულ მოთხოვნებთან.

პირდაპირი შეფასებებით იზომება სტუდენტთა მიღწევები კონკრეტულ კურსებში ტესტების, ესეების, გამოცდების, პროექტებისა და სამაგისტრო ნაშრომების მეშვეობით. ეს შეფასებები განხორციელდება ელექტრონულად ONLINE UG პლატფორმაზე, რომელიც სწავლის შედეგებს კონკრეტულ საგამოცდო კითხვებთან აკავშირებს. აღნიშნული სისტემა ინდივიდუალური და ჯგუფური შესრულების დეტალური განხილვის საშუალებას იძლევა, რაც ხელს უწყობს პროგრამის მიზნების დახვეწას. ვინაიდან პროგრამა ახალია, აღნიშნული სისტემა ჯერ არ არის დანერგილი.

ასევე, ეს მიდგომა სრულად არ არის დანერგილი უნივერსიტეტში და შემუშავების სტადიაშია.

არაპირდაპირი შეფასებებით ხდება უკუკავშირის შეგროვება დამსაქმებლებისგან, კურსდამთავრებულებისგან, პერსონალისგან და სხვა დაინტერესებული მხარეებისგან. მეთოდებში შედის კითხვარები, ბაზრის კვლევა და სამეცნიერო საქმიანობისა და საერთაშორისო პროექტების მიმოხილვა. ეს შეფასებები პროგრამისა და მისი შედეგების გაგების შესაძლებლობას იძლევა და გაუმჯობესების პერსპექტივებს გვთავაზობს. თუმცა, ეს ინფორმაცია აღნიშნული პროგრამისთვის არასრულია. გარდა ამისა, დამსაქმებლებთან გასაუბრებამ ვერ გამოავლინა მათი პირდაპირი ჩართულობა პროგრამის შემუშავების ეტაპზე.

შეფასებები ხდება რეგულარულად: პირდაპირი შეფასებები - ყოველწლიურად, ხოლო არაპირდაპირი - სამ წელიწადში ერთხელ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ამოწმებს ამ პროცესებს მაღალი სტანდარტების შესანარჩუნებლად. პროგრამის განვითარების საბჭო, რომელშიც შედიან პროგრამის ხელმძღვანელები, აკადემიური პერსონალი, დამსაქმებლები და სტუდენტები, აკონტროლებს პროგრამის განვითარებას და უზრუნველყოფს მის შესაბამისობას რეგულაციებთან. პროგრამას საბოლოოდ პროგრამის აკრედიტაციის საბჭო ამტკიცებს, რომელმაც, რთული გადაწყვეტილების მიღების პროცესში, კონსულტაცია შეიძლება გაიაროს გარე ექსპერტებთან. დაწესებულებამ მხოლოდ ზოგადი ანგარიში მოგვაწოდა და არა კონკრეტული ჩამონათვალი.

აღსანიშნავია, რომ ციფრული ინსტრუმენტები, როგორიცაა ONLINE UG და MYUG, მხარს უჭერენ შეფასებებსა და გამოკითხვებს, ხოლო ტრენინგ სესიები აცნობს პედაგოგებს თანამედროვე სწავლების მეთოდებს. სტუდენტები და ლექტორები მონაწილეობენ სემესტრულ გამოკითხვებში, რაც ხელს უწყობს თანამშრომლობას და გამჭვირვალობას პროგრამის განვითაების პროცესში. რადგან პროგრამა ახალია, მისი შეფასება რთულია. დაწესებულების მიზანია მონაცემებზე დაფუძნებული შეფასებები და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მექანიზმები
- შრომის ბაზრის კვლევის შედეგების ანალიზი
- კითხვარები
- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება
- გასაუბრებები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პირდაპირი შეფასების სისტემის სრულად დანერგვა. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა პირდაპირი შეფასებები განახორციელოს ONLINE UG პლატფორმის მსგავსი ინსტრუმენტებით. თუმცა, ვინაიდან ეს მიდგომა ახალ პროგრამაში ჯერ კიდევ განვითარების სტადიაშია, რეკომენდებულია ელექტრონული შეფასებების სრული ინტეგრაციის

დაჩქარება. რეკომენდებულია მკაფიო ვადებისა და კონკრეტული სამოქმედო გეგმების დადგენა, რაც გააუმჯობესებს ამ სისტემის ეფექტიანობას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, გაიზარდოს ყველა დაინტერესებული მხარის (მაგალითად, დამსაქმებლებლების) ჩართულობა არაპირდაპირ შეფასებაში. სასურველია, დაინერგოს სტრუქტურირებული გამოკითხვები და შეხვედრები ფოკუს ჯგუფებთან, რათა მათი შეხედულებები აისახოს პროგრამის შემუშავებასა და გაუმჯობესებაში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	☐	X	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტი აფასებს თავის პროგრამებს პროგრამის განვითარების საბჭოს მეშვეობით, რომლის შემადგენლობაში შედიან სხვადასხვა წევრები, მათ შორის დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი და სტუდენტები. შეფასებებში გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები. დამატებით, უნივერსიტეტი თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ინსტიტუციებთან, საიდანაც აგროვებს ინფორმაციას პროგრამის საჭიროებების შესახებ, რომელსაც შემდეგ პროგრამის განვითარების საბჭო განიხილავს გაუმჯობესების მიზნით. თუმცა ეს არ დადასტურდა მოცემული პროგრამისთვის. დაინტერესებული მხარეების ჩართულობა თვითშეფასების პროცესში ასევე საეჭვოა.

საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების ჩართულობა ღირებული იქნება პროგრამისთვის. ექსპერტთა რჩევების უფრო ყოვლისმომცველი გათვალისწინება კიდევ უფრო გააუმჯობესებს პროგრამას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის რეგულაცია
- ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები

რეკომენდაციები:

- პროგრამის გაძლიერების მიზნით რეკომენდებულია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების აქტიური ჩართულობა; სტრუქტურირებული მექანიზმების შემუშავება, რომელთა საშუალებითაც მოხდება მათი რჩევების გათვალისწინება პროგრამის განვითარებისა და შეფასების პროცესში, რაც ხელს შეუწყობს უფრო ფართო პერსპექტივების შექმნას და გააუმჯობესებს პროგრამის რელევანტურობასა და ხარისხს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

–

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2. გარე ხარისხის შეფასება	☐	X	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტი აფასებს პროგრამებს პროგრამის განვითარების საბჭოს მეშვეობით, რომელიც შექმნილია თითოეული პროგრამისთვის და შედგება ძირითადი დაინტერესებული მხარეებისგან, მათ შორის აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები. პროგრამის განვითარების საბჭო იყენებს პირდაპირ შეფასებებს სტუდენტთა სწავლის შედეგების გასაზომად და არაპირდაპირ შეფასებებს საგანმანათლებლო პროცესების შესახებ დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მისაღებად. მონაცემები მუშავდება კითხვარების მეშვეობით, ხოლო შედეგები ეცნობება დაინტერესებულ მხარეებს პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. სემესტრული გამოკითხვები ტარდება ხარისხისა და სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. აკრედიტაციის დროს პროგრამის განვითარების საბჭო თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და პროგრამის

აკრედიტაციის საბჭოსთან საბოლოო გადაწყვეტილებების მისაღებად, რაც უზრუნველყოფს საფუძვლიან შეფასებას და უწყვეტ განვითარებას.

ვინაიდან საბაკალავრო პროგრამა ახალია და ჯერ არ არის განხორციელებული, ზემოაღნიშნული შეფასებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები სრულად არ არის გამოყენებული. თუმცა, პროგრამის დაწყების შემდეგ, უნივერსიტეტი სხვა აქტიური პროგრამების მსგავსად, სრულად დანერგავს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას.

თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი გამოყოფს შეფასებასა და ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ რამდენიმე პრობლემურ ასპექტს.

პირველი, გასაუბრების დროს დამსაქმებლებმა დაადასტურეს, რომ უნივერსიტეტთან თანამშრომლობენ მხოლოდ მემორანდუმის ფარგლებში, და არ იცნობდნენ მოცემულ პროგრამას და არ მონაწილეობდნენ მის შეფასებაში. უსდ- მ წარმოადგინა შრომის ბაზრის კვლევა, რომელიც ანგარიშის 1.1 ქვესტანდარტში არის განხილული. უნივერსიტეტსა და შრომის ბაზარს შორის თანამშრომლობის მნიშვნელობის გათვალისწინებით, სასურველია დამსაქმებლების აქტიური ჩართვა პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში, ზოგადი თანამშრომლობის მიღმა, რაც უზრუნველყოფს დარგთან შესაბამისობას.

მეორეც, ასევე არ დასტურდება, რომ პროგრამა შედარებულია უცხოური უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან, თანამედროვე მოთხოვნებთან პროგრამის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. დაწესებულებამ არ წარმოადგინა დარგობრივი მახასიათბელი, როგორც მტკიცებულება. გლობალურ და ადგილობრივ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია პროგრამის შედარება მსგავს საერთაშორისო პროგრამებთან და მტკიცებულების სახით დოკუმენტის წარმოდგენა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის კურიკულუმი
- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა
- უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესები
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის შედარება მსგავს საერთაშორისო პროგრამებთან და დოკუმენტური მტკიცებულებების წარმოდგენა, რათა უზრუნველყოფილ იქნას მისი შესაბამისობა გლობალურ და ადგილობრივ სტანდარტებთან.
- რეკომენდებულია დამსაქმებლების აქტიური ჩართვა პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში, ზოგადი თანამშრომლობის მიღმა, რაც უზრუნველყოფს დარგთან შესაბამისობას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

–

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	☐	X	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	x
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება / სტანდარტი	შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

	მოთხოვნებთან			
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☐	X	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☐	X	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☐	X	☐	☐